გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№415 (474) 3-17 ოქტომბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ნუგზარ კვაშილავა: რა არის მეცნიერება

გვ.3

ჰამლეტ ჭიპაშვილი: სააკაშვილის ფენომენი

გვ.2

ლუარა სორდია — მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.6

ვახტანგ გურული: ბელადის გზა — მონაწილეობდა თუ არა სტალინი თბილისში გახმაურებულ ბანკის ძარცვაში?

გვ. 5

მანანა ხომერიკი: სად შეიძლება თამარ მეფის საფლავის მოძიება?

გვ.8

ზურაბ კვარაცხელია: ღორონთქ გინოთას დო ორხონუას ჩქინი ოდაბადეში ქვერსემი სქუა დო მაბირე-მაფშალია ზურაბ სოტკილავაში შური...

გვ.11

გვ.11

ანზორი დანელია: სამძიმარი აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპული ახალგაზრდების აფხაზ და ქართველ მშობლებს!

მაია-დარეჯან ჯიქია: ზუგდიდის თეატრი და თეატრის შენობა — მიტოვებული ქალაქის ისტორია

გვ.10

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

ბორის დავითაია: სახელწოდება „სენაკის“ საკითხის გარკვევისთვის

გვ.9

ალიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააკაშვილის ფენომენი

მკითხველს ემახსოვრება საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის ნათქვამი – საქართველო მსოფლიოს მე გავაცანიო. მაშინ ვაიპატრიოტებმა ისეთი ხმაური ატეხეს – რა სჭირს საქართველოს, უდიდესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, სააკაშვილის გასაცნობიო, რომ ნებისმიერ მტერს თვალი დაუდგებოდა. არადა მართალი იყო მაშინდელი პრეზიდენტი, ვინაიდან თანამედროვე, დახვეწილი საკომუნიკაციო საშუალებების წყალობით, ინტერნეტსა და ტელეეკრანს მუდამ **"პირველ გვერდზე"** ჰქონდათ გამოტანილი საქართველოს **"ამბები საგმირონი"**.

მსოფლიოს დღესაც ახსოვს 2003 წელს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე შევარდნა, მოქმედი პრეზიდენტის შევარდნაძის დარბაზიდან **"გაპარება"**, ტრიბუნაზე გამარჯვებული სააკაშვილის მიერ პრეზიდენტ შევარდნაძისთვის განკუთვნილი ჩაის მოსმა და პატრიოტული სიტყვა.

ახსოვს, უკვე პრეზიდენტობის დროს აჭარის შტურმი, აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ბათუმიდან იძულებითი წასვლა; სამხრეთ ოსეთის დაბრუნებისთვის ქართველ სამართალდამცავთა პირველი მარცხი ცხინვალში და დაჩოქება, 2008 წლის აგვისტოს ომი – ყოფილი ავტონომიის დასაბრუნებლად, დამარცხება და ჰალსტუხის ღეჭვა, გორთან მიწაზე ხოხვა...

სხვაც ბევრი ახსოვს სასაცილოც და დამამცირებელიც. თავისი მმართველობის 9 წლის განმავლობაში ბევრი იყო ისეთი, რომლის გახსენება ჟრუანტელს გვგვრის და ცუდ განწყობაზე გვაყენებს, მათ შორის ცოცხის ტარებს გამორჩეული ადგილი უკავია. გვახსოვს სექსმოძალებული პრეზიდენტის ნადირობა ადგილობრივ თუ უცხო ქვეყნის ქალთა სქესზე, შემდეგ უხვად გავრცელებული ჭორ-მართალი, უფრო მეტად მართალი.

ისიც გვახსოვს ადგილობრივ ლამაზმანებთან ერთად, პრეზიდენტის თვითმფრინავით, სპონტანურად, რომელიმე სახელმწიფოში დროის სატარებლად გაფრენა. გვახსოვს მისი გამოუცნობი **"მუშაობის"** სტილი – ღამის ორ საათზე, კარგად ნაქეიფარზე მეტროს გახსნა და სააკაშვილისა და მისი თანმხლები პირების გაღიმებული სახეები ესკალატორზე.

სხვაც ბევრია გასახსენებელი, უდავოდ **"საამაყო"** და ქვეყნისთვის **"დადებითი"** იმიჯის მომტანი. იმ ცხრაწლიან პერიოდში ყველა, ვისაც რაღაცის თქმა შეეძლო, განსაკუთრებით ინტელიგენციას, თავს იკავებდა და ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა. იშვიათი იყო გამონაკლისი თუ ვინმე სადმე წამოიკნავებდა, რასაც უმალ მოსდევდა **"საჯარო გაროზგვა"**. ყოველივე ამის შემხედვარეს ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორსაც არაფერი ჰქონდა სათქმელი.

არავინ ხმას არ იღებდა, ისინიც კი, ვინც შემდეგ თავდავიწყებით ლანძღავდნენ სააკაშვილს. ასეთთა რიცხვში ბიძინა ივანიშვილიცაა, რომელმაც საჯაროდ განაცხადა – სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში მაშინ ჩავერთე, როდესაც დავინახე, რომ სამშობლოს ვკარგავდიო.

დიახ! მართალია ბიძინა, სააკაშვილის ქცევა სამშობლოს დაკარგვის ტოლფასი იყო, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბიძინამ ყველაზე გვიან შენიშნა ნგრევა. და შენიშნა მას შემდეგ, როდესაც სააკაშვილთან გაუუარესდა ურთიერთობა. მანამდე კი დიდძალი ფული დაახარჯა სააკაშვილსა და მის ოჯახს, ისე, როგორც სამართალდამცავ ორგანოებს.

ივანიშვილი ფიქრობდა, რომ ის იქნებოდა ქვეყნის უგვირგვინო მეფე – ისე, როგორც დღეს არის, ხოლო სააკაშვილი მისი სურვილების შემსრულებელი და ბიძინაზე დამოკიდებული უმაღლესი მოხელე, ისეთები, როგორებიც დღეს არიან კვირიკაშვილი და სხვები.

ბიძინას ჩანაფიქრი სააკაშვილის მიმართ არ აღსრულდა და არც აღსრულდებოდა თვით სააკაშვილის პიროვნებიდან გამომდინარე. სააკაშვილს თუ ვინმეს უდელს დაიდგამდა აშშ-ი იყო და არა ივანიშვილი ან სხვა ვინმე.

ასეა დღესაც. სააკაშვილი თვითნაბადი ბაჯაღლოა აშშ-ს გარკვეული წრეებისთვის, იმათთვის, ვისზეც პრეზიდენტებისა და ადმინისტრაციების ცვლა არ მოქმედებს. ეს უნდა ცოდნოდა მილიარდერს, მაგრამ შეზღუდულმა განათლებამ და აზროვნებამ ამის საშუალება არ მისცა.

ივანიშვილი იყო ის პიროვნება, ვინც ხელი გაუმართა სააკაშვილს **"ვარდების რევოლუციაში"** და შემდეგ, და რომ არა ივანიშვილის ფინანსები, სააკაშვილის მმართველობა **"ვარდების რევოლუციის"** წლისთავზე სულს დალევდა. სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნება მარტო ივანიშვილის დამსახურებაა?

ნამდვილად არა! სააკაშვილის გამარჯვებაც და ხელისუფლების შენარჩუნებაც სააკაშვილის დამსახურებაა. სწორედ მან შეძლო ბიძინა ივანიშვილის დაყოლიება დამაჯერებელი ლაპარაკით. სწორედ მან შეძლო სხვათა დაყოლიება და ხალხის თვალში ნაცრის შეყრა გაუთავებელი სატელევიზიო შოუებით, მუდამ ტელეეკრანზე ყოფნით და ა.შ.

ერთი წლის წინ ცნობილი დიპლომატი, **"ოცნების"** პარლამენტის წევრი, ამჟამად პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თედო ჯაფარიძე წერდა, რომ სააკაშვილის ფენომენი დროით არის განპირობებული. ანუ იყო ისეთი დრო, რომელიც სააკაშვილმა სათავისოდ **"შეირგო"**. ძნელია დაეთანხმო პატივცემულ თედოს. დროს და გარემოს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მათ, მილიონში ერთი თუ ირგებს სათავისოდ. გარდა ამისა, სააკაშვილმა თვით შექმნა **"დროც და გარემოც"** – რევოლუციის, რომელსაც სათავეშიც ჩაუდგა და გაიმარჯვა კიდევაც.

აი, გამარჯვების შემდეგ, რა გააკეთა ქვეყნისთვის – ეს არის საკითხავი. ამ კითხვას უდავოდ გაეცემა პასუხი – არაემოციური, აკადემიური, მაგრამ დღევანდელთა დიდი ნაწილისთვის სააკაშვილის მმართველობის ეპოქა იყო აუტანელი, სადამსჯელო ოპერაციებით აღსავსე, განუკითხაობით სახელგანთქმული.

სად აისახა ყოველივე ეს? არსად. მხოლოდ სააკაშვილის თანამედროვეთა თავებში. იქ, სადაც უნდა ასახულიყო დანაშაულის სახით – მსგავსი არაფერი მომხდარა. უმნიშვნელო დარღვევებმა გაიქროლეს ჩვენს გონებაში, ნაცვლად სერიოზული დანაშაულისა, რომელთა რაოდენობას ვინ მოთვლის?

ვინც უნდა **"მოითვალოს"**, იმდენად ჩლუნგი, გამოუცდელი და ბიძინას მორჩილია, რომ მისგან ბევრს არაფერს უნდა მოველოდეთ (პროკურატურა). რით არის ეს გამოწვეული, მარტო ზემომოყვანილი თვისებებით? არამცდაარამც. სააკაშვილის მეცადინეობით, მისი მარიფათით, მისი პიროვნებით და დამსახურებით ამერიკელი ბოსების წინაშე.

საქართველოდან გაქცეული სააკაშვილი იმ ამერიკაში აღმოჩნდა, რომელმაც ასწავლა, დააპურა, გაზარდა და გზაზე დააყენა. შემდეგ იყო ხეტიალი სხვა ქვეყნებში და ბოლოს ადგილი გამოუნახეს ჩვენსავით გონგამოცლილ უკრაინაში.

აშშ-ა ახალი უკრაინული პროექტი წამოიწყო – **"მაიდნის რევოლუცია"**, რომელსაც სათავეში ჩაუყენა აშშ-ს სპეცსამსახურებთან დაახლოებული პირები, მათ შორის იყო სააკაშვილის თანაკურსელი პოროშენკო.

რატომ უკრაინა?

ვისაც ბუეზინსკის წიგნი აქვს წაკითხული საჭადრაკო დაფაზე პაექრობასთან დაკავშირებით, მისთვის ნათელია – რატომ. უკრაინა სწორედ ის ქვეყანაა, რუსეთის მოსაზღვრე და მტრულად განწყობილი, რომელმაც წყალი უნდა შეუყენოს რუსეთს, როგორც სუპერსახელმწიფოს. სააკაშვილი კი ის პიროვნებაა, რომელიც 24 საათის განმავლობაში რუსეთს ლანძღავს და აგინებს.

სააკაშვილისეული **"ვარდების რევოლუციის"** უკრაინელთათვის გაცნობაში დიდი წვლილი მიუძღვნის აშშ-ს, მაგრამ არანაკლები სააკაშვილსა და მის **"ნაცებს"** – შედეგი **"ნარინჯისფერი რევოლუცია"**, პირველი პროამერიკული მთავრობა იუშჩენკო-ტიმოშენკოს სახით, უკრაინის ეკონომიკური დეგრადაცია და ქვეყნის ძარცვით გაჩენილი მილიარდები.

ვითომ მარტო დროს უნდა დავაბრალოთ სააკაშვილის იუშჩენკოსთან დანათესავება? არამცდაარამც, მხოლოდ სააკაშვილის მარიფათს. რომელი პრეზიდენტი გააკეთებდა იმას, რაც სააკაშვილმა გააკეთა?

ის, ახალ არჩევნებში გამარჯვებულ იანუკოვიჩს ყირიმში მოულოდნელად მიადგა და გამარჯვება მიულოცა. მანამდე კი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. და არა მარტო ლანძღავდა – სპეცჯგუფიც გაგზავნა საქართველოდან უკრაინის საარჩევნო კამპანიის ასარევად.

„მაიდნის რევოლუციის“ შემდეგ მოსულ ხელისუფლებას აშშ-ს მრჩევლებმა შესთავაზეს უცხოელი მოხელეების, მათ შორის საქართველოს გამოყენება. ასე გაჩნდნენ პოროშენკოს კარზე სააკაშვილი და საქართველოში შეძულებული "ნაცი" მოხელეები. სამწუხაროდ, ისე, როგორც სააკაშვილმა, ვერც ერთმა მათგანმა ვერაფერი არგო ახალ "სამშობლოს". სააკაშვილი არ არის ის პოლიტიკოსი, რომელიც მაგიდას მიუჯდება და გულდასმით გაეცნობა საქვეყნო მასალებს. მისთვის უცხოა კაბინეტური მუშაობა, ვინაიდან საჭიროებს სიდინჯეს, დაფიქრებას, საკითხებში ჩაღრმავებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. მისთვის კაბინეტში ყოფნა უჰაერო აკვარიუმში ყოფნის ტოლფასია. ის, ძუჩის, არეულობის, რევოლუციის დიდოსტატია. ის ვერ ეტევა ქვეყნის ჩარჩოებში და ამიტომაც საზღვრის გარეთ გაჭრას ლამობს. ხან სად არის და ხან სად.

სააკაშვილი რევოლუციონერი, უფრო სწორად ამრევია, რაც კარგად იციან მისმა აღმზრდელმა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა. სწორედ ამიტომაც მას იყენებდნენ და მომავალშიც გამოიყენებენ – ვითარების დაძაბვისთვის. სწორედ ასეთის დრო მოვიდა უკრაინაში, ამიტომაც გადაისროლეს იქ სააკაშვილი.

საერთოდ სააკაშვილის უკრაინაში დასახლებას პოროშენკოს აბრალებენ, რაც არასწორია. პოროშენკომ უბრალოდ გაიზიარა აშშ-ს მოთხოვნა – სააკაშვილისა და მისი გუნდის სასარგებლოდ. ე.წ. რეფორმატორები, სწორედ ის პოლიტიკური ძალა იყო და არის, რომელსაც უკრაინა ამერიკულ რელსებზე უნდა შეეყენებინა. სააკაშვილმა ეს მოახერხა, ნაწილობრივ. ამჯერად შეუსრულებელი მეორე ნაწილის შესრულების პროცესია.

მცდარია ყველა მოსაზრება, რომ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. თუ ეს ასეა, მაშინ აშშ-ი არის პოლიტიკური გვამი, ვინაიდან იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებს, თავისუფლად შეიძლება დავარქვათ ამერიკული საქმე. სადაც სააკაშვილია უნდა ვიგულისხმოთ აშშ-ს სპეცსამსახურები, რაც თვალნათლივ დამტკიცდა პოლონეთ-უკრაინის საზღვრის გადაკვეთის დროს.

სააკაშვილის გვერდით არა მარტო ცნობილი პოლიტიკოსი და ოპოზიციონერი, **"ნარინჯისფერი რევოლუციის"** შემოქმედი ტიმოშენკო იდგა, არამედ აშშ-ს ცსს თანამშრომელი, უკრაინელი ყოფილი მაღალჩინოსანი ნალივაიჩენკო. ეს არ არის შემთხვევითობა. ეს წინასწარ დადგმული პროექტია, რომელიც პოროშენკოს ჩამოგდებას ისახავს მიზნად. სააკაშვილი ამ გეგმის მთავარი შემსრულებელია, ვინაიდან მას და მხოლოდ მას ხელეწიფება ისეთი ვითარების შექმნა, რასაც ადგილი ჰქონდა უკრაინის საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს. დაისჯება, ამისთვის სააკაშვილი?

მხოლოდ ჯარიმის გადახდით, მეტით არაფრით. ოფიციალურმა ვაშინგტონმა ხომ გვაუწყა, რომ თვალს ადევნებს სააკაშვილის მოქმედებას. რაც შეეხება პოლონეთს, ის სააკაშვილის მხარეზეა, ისე, როგორც ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები.

უკრაინის თავზე ახალი რევოლუციური ღრუბლები გამოჩნდა, რასაც უდავოდ მოჰყვება კოკისპირული წვიმა დღევანდელი ხელისუფლების დამხობით და ახლის მოსვლით. ასე სურს აშშ-ს, რომელიც რახანია ზრდის უკრაინას. ამ რევოლუციას სააკაშვილი წარმართავს – აშშ-ს სპეცსამსახურების ჯილა.

საქართველოში ხშირად ამბობენ სააკაშვილის ტაკიმასხარაობაზე, ჩამოწერილ პოლიტიკოსობაზე და ა.შ. მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ეს ასე არ არის. პოლიტიკური არენიდან ჩამოწერა ისეთი პოლიტიკოსის, როგორიც სააკაშვილია, საქართველოს საქმე არ არის – აშშ-ს საქმეა. ჩამოწერს ის სააკაშვილს – ჯანღონით სავსე ადამიანს, პოლიტიკური თამაშებისა და ცხოვრების გაფურჩქვნის ასაკში შესულს?

არ ჩამოწერს, ვინაიდან მისგან ბევრს ელიან. სწორედ სააკაშვილმა შეძლო საქართველოს ძირფესვიანი გარდაქმნა ისეთ ქვეყნად, დასავლეთს რომ სურს. მან შეასრულა ალენ დალესის თითქმის ყველა მოწოდება და საქართველო შეაბრუნა უკეთესობისკენ – მათი გაგებით, ჩვენით – უარესობისკენ. მაგრამ ჩვენი აღქმა ქვეყნისა ვიღას სჭირდება – ჩარეცხილებს, საიქიოდ გამზადებულებს?

რაც შეეხება ახალ თაობას – სულ სხვაა, თითქოს აქ კი არა, აშშ-ი დაიბადნენ და გაიზარდნენ. აი ეს გააკეთა სააკაშვილმა, ამისთვის უმადლიან მას აშშ-ს გარკვეული წრეები, ამისთვის ხუჭავენ თვალს სააკაშვილის ავხორცობაზე, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებზე, რეპრესიებზე და ყოველივე ნეგატიურზე, რასაც საქართველოში მისი მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი.

სააკაშვილს უფრო დიდი გააკეთებინეს, ქვეყნის თვითშეგნების დაშლა, რომელთან შედარებით ყველა დანარჩენი წვრილმანია.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის მეცნიერება

ჰო, ჩემო ძმაო, თეორია უფერულია, ხოლო ცხოვრების ოქროს ხე კი მწვანეა მარად.
გოეთე

საფიქრებელია, რომ სიტყვები **„მეცნიერება“** და **„მეცნიერი“** ყოველთვის უნდა ჩაისვას ბრჭყალებში.

რა სისულელეა, რა უგნურებაა, და ბოლოს რა თავხედობაა, იფიქრებს ზოგიერთი. ასეთი რეაქცია ნორმალური და გასაგებიცაა იმ სტერეოტიპების გამო, რომლებიც არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში და რომელთა წინააღმდეგ გალაშქრება მკრეხელობადაც კი მიიჩნევა.

სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემი **„მეცნიერული“** კულტურა და ინტელექტუალური ძალები საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ დავასაბუთო ის ფრაზა, რაც პირველ აბზაცში წარმოვთქვი, მაგრამ ვინაიდან ყოველთვის მაწუხებდა და ახლაც მაწუხებს, ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც მთელი სხეულით ვგრძნობ ამ ფრაზის ჭეშმარიტებას, შევეცდები როგორღაც იმ ზოგიერთებს (თუ ეს ზოგიერთები ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას არ წარმოადგენენ) გავუზიარო ჩემი წუხილი, ჩემი განცდები და შეძლებისდაგვარად გავლენა მოვახდინო მათ მსოფლმხედველობაზე.

ზოგმა შეიძლება წარმომიდგინოს ხელმოცარულ **„მეცნიერად“,** რომელმაც **„მეცნიერებას“** თავი ვერ გაართვა და ახლა გადაუწყვეტია მისი **„განადგურება“**. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასეთი რამ გულში არ გამივლია. მე ჩემს თავს უფრო იმედგაცრუებულად ვთვლი, ვიდრე ხელმოცარულად. იმედგაცრუებულად იმიტომ, რომ სკოლაშიც და სტუდენტობის პირველ წლებშიც მე **„მეცნიერებას“** ისე ვუმზერდი, როგორც ბავშვი უმზერს ზღაპრების სამყაროს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ეს სტერეოტიპი ისე დამენგრა, როგორც დემნა შენგელაიას ერთ-ერთ გმირს, რომელიც სიბერის ჟამს შეხვდება რა თავის სიყრმისდროინდელ სატრფოს, დაბერებულსა და დაბეჩავებულს, გუნებაში გაიფიქრებს: **„რა გინდოდა შე ოხერო დედაკაცო, რომ მოხვედი და მოკალი ჩემს ცხოვრებაში ოცნებად ქცეული ნამდვილი სიდუ დანელიხე“.**

თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ჩემი სტერეოტიპი **„მეცნიერების“** მიმართ მაშინ მთლიანად არ დანგრეულა, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ პირველად მაშინ შევიგრძენი მისი სიცარიელე და ავტონომიურობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელმა საბჭოთა სწავლების სისტემამაც განაპირობა ასეთი ნაადრევი ნგრევა ჩემი სტერეოტიპისა, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც დაინგრეოდა, როგორი კარგი სწავლების სისტემაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ შედარებით უფრო გვიან (თუმცა შეიძლებოდა მომხდარიყო პირიქითაც). რაც შეეხება საწავლების სისტემის გავლენას პიროვნების მსოფლმხედველობაზე, ეს ცალკე მსჯელობის საკითხია და აქ ჩვენ ამაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას.

ბრჭყალებში უნდა ვიხმარო-თქო სიტყვები **„მეცნიერი“** და **„მეცნიერება“** ვამბობ იმიტომ, რომ არავითარი მეცნიერება არ არსებობს. არსებობს უამრავი საშუალება და მანევრი საბოლოო მიზნის მისაღწევად, რომელსაც **„მეცნიერებას“** უწოდებენ და არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავის თავს **„მეცნიერებად“** ასაღებენ და არაფრით არ აღემატებიან უბრალო მიწის მუშას, რომელიც შესანიშნავად უძღვება მეურნეობას სოფლად და მისი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე არამც და არამც არაფრით არ ჩამოუვარდება **„მეცნიერისას“**.

ეს მიზანი **„მეცნიერებისა“** ძალიან ხშირ შემთხვევაში (თუ ყველა შემთვევაში არა) დაკავშირებულია განდიდების მანიასთან, სახელის მოხვეჭასთან და იმასთან, რომ ისინი იწოდებოდნენ **„მეცნიერებად“** მხოლოდ ბრჭყალების გარეშე, რადგანაც ისინი რწმუნდებიან რა გზადაგზა თავიანთ უსუსურებაში, მაინც იმედს არ იტეხენ და განაგრძობენ **„წინსვლას“**.

მიუხედავად ასეთი ზედაპირულობისა და სიცარიელისა ეს ჩვენი **„მეცნიერები“** ასე ამაყად და მედიდურად, ასეთი ჰონორით გვიცქერიან სქელტანინი წიგნების ყდებიდან და თითქოს გვეუბნებიან: აი, ხომ გვხედავთ ჩვენ; ეს ჩვენი ღვაწლია, ჩვენი მონაგარია, ჩვენი არაორდინალური გონების შედეგია, რასაც თქვენ ხრავთ და იცოხნებით, თქვე მდაბიორებო, თქვე უბრალო მოკვდავნო.

ასეთი, დოსტოევსკისეული კლასიფიკაციის შედეგია ჩვენი საზოგადოების გახლეჩა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად, ბანაკად **„პატრიციებისა“** და ბანაკად **„პლებეებისა“**. სინამდვილეში არავითარი **„პატრიციები“** და არავითარი **„პლებეები“** არ არსებობენ. **„პატრიციები“,** ეს იგივე **„პლებეები“** არიან, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ უფრო მეტი ინფორმაცია, უფრო მეტი სიტყვათა მარაგი **„პლებეებთან“** შედარებით, მაგრამ არამც და არამც ერთი გოჯითაც წინ ვერ უსწრებენ **„პლებეების“** ვერც მსოფლმხედველობას და ვერც მათ მჭერმეტყველებას ბუნების კანონზომიერების მიმართ.

და მაინც რა აღმოაჩინეს მეცნიერებმა. რისთვის გაიძახოდა ბერძენი მათემატიკოსი და მექანიკოსი არქიმედი ევრიკას. მხოლოდ იმისთვის, რომ ის ძლიერ ცდილობდა რაღაც აღმოეჩინა დ ბუნებამ მას, ამ მონდომებისა და გარჯისათვის **„უბოძა“** მცირედი საჩუქარი. სწორედ რომ ბუნებამ **„უბოძა“** და არა ისე, თითქოს არქიმედმა აღმოაჩინა, რაც შემდგომ ისევ ბუნების შემწეობით მან არა ერთხელ დაასაბუთა ცდების საშუალებით. ე. ი. გამოდის, რომ **„მეცნიერებს“** ბუნება ჩუქნის საჩუქრებს და შემდეგ ისევ ის ბუნება უსაბუთებს მათ ცდების საშუალებით (ფაქტების საშუალებით) რომ ეს **„საჩუქარი“** ყალბი არ არის. მაშ ვისი ღვაწლია აქ მეტი, **„მეცნიერის“** თუ ბუნების? ჩვენის აზრით ამ შემთხვევაში **„მეცნიერის“** ღვაწლი იმდენად მცირეა ბუნების ღვაწლთან შედარებით, როგორც შვილის ღვაწლი მშობლის ღვაწლთან შედარებით.

მაინც როგორია ის წყარო, რომელიც **„მეცნიერებს“** ასაზრდოებს. როგორც რუდოლფ შტაინერი თავის ნაშრომში **„ძველი მისტერიები და ქრისტიანობა“** ამბობს:

„მათ თრგუნავთ მტკიცებათა ძალა. მათთვის გონების ინტერესები უფრო წინა პლანზე დგას, ვიდრე გულისა... უდაოა, რომ საბუნებისმეტყველო საშუალება აზროვნებისა არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალა თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. და ყოველი, ვინც საუბრობს კაცობრიობის სულიერ ინტერესებზე ვერ შესძლებს უყურადღებოდ ჩაუაროს მას. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ეს საშუალება უკიდურესად ზერელედ და არასაკმარისად აკმაყოფილებს სულიერ მოთხოვნებს. იქნებოდა გულდასაწყვეტი, რომ ეს საშუალება ყოფილიყო ნამდვილი...“

მაშ რით არის განპირობებული **„მეცნიერთა“** ასეთი დიდი ავტორიტეტი ჩვენს საზოგადოებაში. ეს უპირველესად ყოვლისა უმეცრების შედეგია. იმ უმეცრებისა, რომელიც მოიცავს ჩვენს **“მდაბიურ“** ფენებს და რომელიც უპირველეს ყოვლისა თვით მათ, **„პატრიციებს“** უკეთ ესმით ვიდრე **„პლებეებს“**. **„პატრიციებს“** თვითონვე კარგად ესმით და ხედავენ თავიანთ უსუსურობას, მაგრამ ამის საქვეყნოდ განცხადებისაგან თავს იკავებენ, რადგანაც ფიქრობენ, რომ ამას **„მდაბიორი“** ვერასოდეს ვერ შეიტყობს და მათ კიდევ შერჩებათ ის დიდი სახელი **„მეცნიერისა“** და **„მენტორისა“** და შეინარჩუნებენ პრიორიტეტულ როლს ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც მათ უჭირავთ და რომლის დათმობაც მათ არ ძალუძთ.

და ბოლოს, მაინც რა არის ეს **„მეცნიერება“,** რა სარგებელი მოაქვს მას ადამიანთა საზოგადოებისათვის და გამართლებული არის თუ არა ეს მისწრაფება ადამიანთა **„პროგრესული“** ნაწილისა ემსახუროს მას კაცობრიობის **„დიადი მიზნებისათვის“**?

როგორც დიდი ენციკლოპედიები გვეუბნებიან **„მეცნიერება“** არის შედეგი კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობისა გარდაქმნას სამყარო და დაუქვემდებაროს ის თავის ინტერესებს. მე გეკითებით თქვენ, გარდაქმნა კი სამყარო და დაუქვემდებარა კი ის თავის ინტერესებს **„მეცნიერებამ“**, თუნდაც მის **„ელიტარულ“** ნაწილს? აგრძნობინა კი შვება და შეუმსუბუქა კი მას ეს ყოველდღიური სიდუხჭირე? ამ შეკითხვაზე ვერცერთი ადამიანი როგორ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის დადებით პასუხს ვერ გამცემს. ყოველი პატიოსანი **„პატრიცია“,** ყოველი პატიოსანი **„მეცნიერი“** იტყვის, რომ მე, როგორც **„მეცნიერმა“** დიდ **„პროგრესს“** მივაღწიე, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ **„პროგრესმა“** გამოიწვია იგივე მასშტაბის **„უკუპროგრესი“** თუ მეტი არა იმავე საზოგადოებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ნიუტონის კანონის მსგავსად, ყოველი ქმედება იწვევს ტოლსა და საწინააღმდეგო უკუქმედებას. მაშ სად არის აქ **„პროგრესი“,** სად არის აქ **„წინსვლა“** და თუ გავიხსენებთ იმას, რომ ბევრი დიდი, ნიჭიერი **„მეცნიერი“** წყვეტდა თავის მოღვაწეობას ახალგაზრდულ წლებში და ყველაფერს ამქვეყნიურს ღმერთს მიაწერდა, უნდა ვიფიქროთ, რომ **„მეცნიერება“** არის ყველაზე ყალბი პოლიტიკა, რომელიც იწვევს საზოგადოების დაინტერესებას ილტვოდეს რაღაც გაურკვეველი მიზნისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ იცის არავითარი **„მიზანი“** არ არსებობს.

თითქმის ყველა მათემატიკური დისციპლინების საფუძვლები აგებულია ყალბ, ტავტოლოგიურ განმარტებებზე. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ფუნდამენტალურ **„მეცნიერებებზეც“** და ბუნებრივია, რომ ასეთ ყალბ, უსუსურ ფუნდამენტზე აშენებული შენობები გვენგრევა თავზე. ხომ არ გამოდის ისე, რომ **„მეცნიერება“** საჭიროა ამ საქმის მიმდევართა სხვადასხვა ხარისხებისა და წოდებებისათვის, საზოგადოების დიფერენციაციისათვის და საბოლოოდ **„მეცნიერება“ „მეცნიერებისათვის“**?

მათემატიკაში (და აქედან გამომდინარე, სხვა საბუნებისმეტყველო „მეცნიერებებშიც“) რომ **„ყველაფერი რიგზე არ არის“**, ეს ჩანს მ. კლაინის წიგნიდანაც (М. Клаин, «Математика Утрата определенности», 1984г.), რომლის შესავალში ის აცხადებს (მოგვყავს ჩვენეული ქართული თარმანი):

„წარსულთან მიმართება ნაყოფიერი წყაროა აწმყოს შესაცნობად. XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა უჩვეულო გეომეტრიებმა და ასევე უჩვეულო ალგებრებმა აიძულეს მათემატიკოსები ეღიარებინათ, რომ თვით მათემატიკა და მათემატიკური კანონები სხვა მეცნიერებებში, არ წარმოადგენენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს. მაგალითად, მათემატიკოსებმა გულდაწყვეტით აღმოაჩინეს, რომ რამოდენიმე სხვადასხვა გეომეტრიები ერთნაირად კარგად ეთანადებიან სტრუქტურული სივრცის დამკვირვებლურ მონაცემებს. მაგრამ ეს გეომეტრიები ეწინააღმდეგებოდნენ ურთიერთს – გამომდინარე აქედან ყველა ისინი არ შეიძლება ყოფილიყვნენ ერთდროულად ჭეშმარიტები.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნება აგებულია არა წმინდა მათემატიკურ საფუძველზე და თუ ასეთი საფუძველი არსებობს, მაშინ ადამიანის მიერ შექმნილი მათემატიკა არასრულად შეესაბამება მას. რეალობის გასაღები იქნა დაკარგული. საფუძველი ამ დანაკარგისა იყო ის პირველი უბედურება, რაც თავს დაატყდა მათემატიკას.

ახალი გეომეტრიებისა და ალგებრების გამოჩენასთან დაკავშირებით მათემატიკოსებს მოუხდათ განეცადათ ასევე სხვა სახის შოკიც. მათემატიკოსები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი შედეგების უდავობაში, რომ ილუზორულ ჭეშმარიტებებს გამოდევნებულებმა დაკარგეს მსჯელობის სიმკაცრე. მაგრამ, როცა მათემატიკა უკვე აღარ იყო ურყევი ჭეშმარიტებების კრებული, ამან შეარყია მათემატიკოსების რწმენა მათი თეორიების სიმართლეში. მაშინ მათ მოუხდათ გადაეხედათ თავიანთი მიღწევებისათვის, და აქ მათდა საუბედურად შეამჩნიეს, რომ ლოგიკა მათემატიკაში სრულიად არც ისე მყარი იყო, როგორც ამას ფიქრობდნენ მათი წინამორბედები.“

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის კონსტანტინე კაპანელის აზრი ლოგიკასთან დაკავშირებით:

„ცხოვრების მიმდინარეობა ალოგიურია და რაც უფრო მეტად გაჰყვება ადამიანი ლოგიკას, მით უფრო უბედური იქნება ის ამ წუთისოფლად.“

რაც შეეხება მათემატიკას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ისინი მთლიანად აგებულნი არიან ლოგიკურ პრინციპებზე.

* * *

სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე არიან აგებულნი ჰუმანიტარული მეცნიერებები (ამიტომ აქ მათ მრჭყალების გარეშე ვწერ), განსაკუთრებით ისტორია და ფილოლოგია. საბუნებისმეტყველო **„მეცნიერებებისაგან“** განსხვავებით ეს მეცნიერებები სწავლობენ, ან თუ გნებავთ ცდილობენ შეისწავლონ, დაადგინონ და აღწერონ კაცობრიობის მიერ განვლილი გზა უძველესი დროიდან დღემდე. ის, რომ ეს გზა განვლილია, ამას გვიდასტურებენ პალეონტოლოგია, არქეოლოგია და სხვა დისციპლინები. რა თქმა უნდა ფილოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დისციპლინაა ლინგვისტიკა ანუ ენათმეცნიერება.

შემდგომში მე ვიხმარ ტერმინ ლინგვისტიკას, რადგან ენათმეცნიერება არ არის მეცნიერება. სიტყვა ლინგვისტიკა მომდინარეობს ლათინური სიტყვა ინგუადან რაც ნიშნავს ენას და მის მიზანს სხვა მრავალი მეცნიერებებისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს გარდაქმნას სამყარო და დაუქვემდებაროს ის ადამიანის ინტერესებს. ან როგორ უნდა გარდაქმნას მან სამყარო. ყველაზე დიდი ფუნქცია, რაც მას აკისრია, არის ის, რომ გარდაქმნას მან თვით ადამიანი და აზიაროს ის ჭეშმარიტებას. სხვათა შორის, ვიტყვი, რომ მაგალითად რუსულში ენათმეცნიერება აღინიშნება ტერმინებით: Языковедение, Языкознание, რაც უფრო ზუსტად შეესაბამება მის არსს.

ლინგვისტიკა ღირსია ყურადღებისა არა მარტო იმიტომ, რომ წარმოადგენს აუცილებელ და უძვირფასეს იარაღს ისტორიკოსის ხელში, არამედ იმიტომაც, რომ ცივილიზებულ ხალხთა ენებში იდო და ახლაც ძევს იმდენი გაუშიფრავი საიდუმლო და ცოდნა, რომ მათ გაშიფვრასა და გამოყენებას შეუძლია მიიყვანოს კაცობრიობა ჭეშმარიტებასთან.

აი, რას წერს ენის ფენომენის არსითა და მისი გენეზისით გაოცებული კონსტანტინე გამსახურდია: **„არც მიწისქვეშ მფრინავი სტიქიონები, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მაოცებს, როგორც ენის ფენომენი. რომელმა ზენაარულმა გონებამ შექმნა ენა, უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიოს ენები? ენით წვდება ადამიანის გონება ყოველივეს სამყურა ბალახიდან დაწყებულს ვიდრე ვარსკვლავების ლეგიონებამდის.“**

არსებობს მოარული აზრი, თითქოს ჭეშმარიტება არ არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ჭეშმარიტება არსებობს, მხოლოდ ესაა, რომ დანახვაა მისი ძნელი. მე სრულებით არ მინდა ვთქვა, რომ ვხედავ ჭეშმარიტებას, მაგრამ მე ვგრძნობ მას. როგორც ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტ ეგზიუპერისა არ იყოს: **„მთავარს თვალებით ვერ დაინახავ, ის უნდა იგრძნო“**.

მაგრამ, რადგანაც ჭეშმარიტება არსებობს, ჩვენ ყალბ და უსუსურ ფუნდამენტზე აგებული **„მეცნიერებების“** გამოყენებით კი არ უნდა დავუწყოთ მას ძებნა, არამედ ვეძიოთ ის ცოდნა, რაც ენაშია და ის მოგვცემს უეჭველად გასაღებს ჭეშმარიტებისას. მე ის არც ისე რთულადა მაქვს წარმოდგენილი, იმიტომ, რომ როგორც იოანე მახარობლისაგან ვტყობილობთ (იოანე I, 1-5): **„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან, ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი.“**

ნუგზარ კვაშილავა,
“ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

"ტუხაჩევსკი და მისი ამფსონი, სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე პავლუნოვსკი (წარსულში იგი ტროცკის დაცვის უფროსი გახლდათ), რომელსაც მხოლოდ ოთხწლიანი საეკლესიო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, აპირებდნენ წითელი არმიისა და ავიაციის არტილერიის სრულ გადაიარაღებას და მათ აღჭურვას აკადემიკოს კურჩევსკის სისტემის დინამორეაქტიული ზარბაზნებით. მაგრამ კურჩევსკის საავიაციო, სახომალდო, სატანკო, სამთო, საზენიტო და სხვა სახეობის ზარბაზნები სრულიად არაბრძოლისუნარიანები აღმოჩნდნენ. ამის გამო კურჩევსკის 5.000-მდე იარაღი დაჭრეს და ჯართად ჩააბარეს. არა და, 1931 წლიდან 1935 წლამდე, ტუხაჩევსკის განადგურებამდე 1937 წელს, საბჭოთა კავშირის საარტილერიო დანადგარების ყველა ქარხანა მხოლოდ კურჩევსკის ზარბაზნების გამოშვებით იყო დაკავებული. ამის შედეგად, მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველ დღეებში საბჭოთა ჯარი მძიმე საზენიტო შეიარაღებისა და განსაკუთრებული ძალის მქონე არტილერიის მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდა" (ა. შიროკორადი, საბჭოთა არმიის შეიარაღების ისტორია).

მაგრამ ეს მხოლოდ დიდი უბედურების დასაწყისი გახლდათ! აი, მაგალითად გამოგვადგება 1933 წლის 10 დეკემბერს შედგენილი, პავლუჩენკოსადმი გაგზავნილი წერილი, რომელსაც აწერია "პირადად". ვინმე ი.კ. ბარანოვი წინადადებას იძლეოდა, რომ შეიარაღებაში მიეღოთ ჭურვების დამჭერი ელექტრომაგნიტური დანადგარები. წერილს თან ერთვოდა ნახაზი. გამოგონების არსი მდგომარეობდა შემდეგში – ჩვენი ბატარეის გარშემო დგებოდა რამდენიმე ზემძლავრი მაგნიტი, რომელიც კურსს უცვლიდა მტრის ჭურვებს და ბატარეას საფრთხეს აცილებდა. ბარანოვის წინადადება უარყოფილი იქნა, მაგრამ **მაგნიტური დანადგარის შექმნის სამუშაოები დაიწყო**.

1932 წლის 13 დეკემბერს ტუხაჩევსკიმ ჩაატარა საგანგებო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსები ა.ფ. იოფე და ა.ა. ჩერკაშოვი, პროფესორი შულეიკინი და სხვა ცნობილი სპეციალისტები. საუბარი ეხებოდა ახალ იარაღს – იოფეს მიერ შექმნილ "სიკვდილის სხივს". რენტგენოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა ორი დანადგარის დაპროექტების სამუშაოები – ერთის სიმძლავრე იყო 5 მეგავოლტი, მეორისა კი 10 მეგავოლტი. იოფეს მტკიცებით ამ დანადგარს შეეძლო 200-300 მეტრის მანძილიდან გაენადგურებინა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა. თათბირის შედეგებიდან გამომდინარე, სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ დაადგინა, რომ აკადემიკოს იოფეს "სიკვდილის სხივზე" მუშაობა გაგრძელდეს სახელმწიფო ფიზიკო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. "მუშაობაზე თვალყურის მიდევნება დაევალა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს და ამხ. იაგოდას" (შინსახკომი).

სახალხო კომისარმა კ.ე. ვოროშილოვმა სპეციალური მოხსენება შეადგინა "სიკვდილის სხივზე", წარუდგინა იგი ვიაჩესლავ მოლოტოვს და საქმის ბორბალიც დატრიალდა.

რამდენი მილიონი მანეთი მოხმარდა ამ საქმეს, არავინ იცის, რადგან ანალოგიური პროექტების უმრავლესობა დღესაც არქივში მტვერწაყრილი ინახება, გრიფით "სრულიად საიდუმლო", რითაც გამქრალია ფსევდომეცნიერული იდიოტობები.

რომელიმე მკითხველთაგანი აუცილებლად აღშფოთდება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება "იდიოტად" მოიხსენიო აბრამ თევდორეს ძე იოფე (1880-1960), აკადემიკოსი, ყოველნაირი პრემიის ლაურეატი, რომელიც ჯერ კიდევ 1903-1906 წლებში მიუნჰენში მუშაობდა თვით ვილჰელმ რენტგენთან!

(იოფეს გვარი კიდევ რამდენჯერმე გაიჟღერებს ჩვენი წიგნის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება ლავრენტი ბერიას პირმშოს – "ატომურ პროექტს").

და მართლაც, როგორ შეიძლებოდა ამგვარ მსხვილ და მართლაც გენიალურ მეცნიერს შემოეთავაზებინა იდეა, რომელსაც წინ აღუდგებოდა წითელი არმიის დაბალი რანგის მეთაური, ან ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის კუსდამთავრებული, რომელთაც გარკვეული წარმოდგენა ექნებოდათ ამგვარი "აღმოჩენის" პრაქტიკულ ღირებულებაზე.

როგორც ბარანოვის, ასევე იოფესათვის უნდა დაესვათ მხოლოდ ერთი შეკითხვა: რა დაჯდებოდა ჭურვების ელექტრომაგნიტური დამჭერი ან "სიკვდილის სხივი"? გასაგებია, რომ ხარჯი იქნებოდა ათობით გაუბიცის პოლკის შენახვის ტოლფასი. შემდეგ კი პასუხი გაეცემოდა შეკითხვებს ეფექტურობის კრიტერიუმის განსაზღვრას, დანადგარების მობილურობის კოეფიციენტს, პირადი შემადგენლობის სწავლებაზე გაწეულ დანახარჯებს და სხვა.

რა თქმა უნდა, ბარანოვი და იოფე, ვეებერთელა სახსრების მოთხოვნის შემდეგ შესძლებდნენ ამ იარაღის საცდელი ვარიანტების დამზადებას და პოლიგონზე გამოცდიდნენ მას. მაგრამ მის სერიულ წარმოებაზე და, განსაკუთრებით, ეფექტურობაზე, საუბარსაც კი არავინ დაიწყებდა.

არც იოფეს და არც ბარანოვს არ წარმოუდგენიათ იმ უმძლავრესი ელექტროსადგურის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნულ დანადგარებს ზემაღალი ძაბვით, როგორ უნდა გადაეადგილებინათ ეს დანადგარები ელექტროსადგურთან ერთად, დაახლოებით მაინც რა დაჯდებოდა აღნიშნული დანადგარების მონტაჟი და ტრანსპორტირება და ა.შ. ანგარიშგასაწევი ფაქტი გახლდათ ისიც, რომ არც ტუხაჩევსკისა და არც პავლუნოვსკის არ გააჩნდათ იმდენი ტვინი, რომ ეფიქრათ დანადგარებთან დაკავშირებულ ამგვარ "წვრილმანებზე".

ომი კი უკვე კარს იყო მომდგარი!

ლავრენტი ბერიამ მოკლე ვადებში მოახერხა საბჭოთა კავშირის საზღვრის აღჭურვა აუცილებელი რესურსებით, მათ შორის შესაბამისი კადრებითაც.

1939-1940 წლების განმავლობაში სასაზღვრო ჯარების პირადი შემადგენლობის რიცხვი გაიზარდა 50 პროცენტით, 1941 წლისათვის კი ლანრენტი ბერია, რომელიც თითქოსდა არ ემზადებოდა დიდი სამამულო ომისათვის, კიდევ ზრდის მესაზღვრეთა რაოდენობას და ქვეყნის დასავლეთ საზღვრების სადარაჯოზე უკვე მტკიცედ დგას ხუთ სასაზღვრო სამხედრო ოლქში გაერთიანებული 100.000 მესაზღვრე ჯარისკაცი. ეს ოლქებია – ლენინგრადის, ბალტიისპირეთის განსაკუთრებული, დასავლეთის განსაკუთრებული, კიევის განსაკუთრებული და ოდესის...

სულ კი დასავლეთში იყო რვა სასაზღვრო ოლქი: მურმანსკის, კარელიაფინეთის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის და შავი ზღვის. ამასთან, ბელორუსიის და უკრაინის სამხედრო ოლქებში თავმოყრილი იყო დასავლეთის ოლქების მესაზღვრეთა 47 პროცენტი.

უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რომ ბერიამ წინასწარ გაამაგრა გერმანელთა შესაძლო შემოტევის ზონები. დაზვერვის წყალობით კი ბერია სტალინს ყოველთვის უზუსტეს ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის დასავლეთ საზღვრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ 1940 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში საბჭოთა მესაზღვრეებმა საზღვრის დარღვევის ბრალდებით (დარღვევები კი ხშირად ხდებოდა კონტრაბანდისტების თუ საზღვრის სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი, ერომანეთის ნახვას მონატრებული ნათესავების წყალობით) ამხილეს და დააპატიმრეს 28 გერმანელი აგენტი. მეორე კვარტალში დაპატიმრებული იქნა 43 აგენტი, მესამე კვარტალში – 64 აგენტი, მეოთხეში – 99, 1941 წლის პირველ კვარტალში კი საბჭოთა მესაზღვრეებმა დააკავეს საზღვრის 153 დამრღვევი.

"ლიუფტვაფეს" "გზაგაბნეულ" თვითმფრინავებზე არაფერს ვამბობ: "გზა ეკარგებოდათ" თითოეულ მათგანს თუ რამდენიმე თვითმფრინავისაგან შემდგარ ესკადრას, 1940 წელს კი ხუთი გემისაგან შემდგარმა არმადამ დაარღვია საბჭოთა კავშირის საზღვარი და მურმანსკთან აღმოჩნდა.

სტალინმა იხუმრა: "არაუშავს რა, თუ გზადაკარგული ერთეული ტექნიკა არღვევს ჩვენი სახელმწიფოს საზღვარს, მთავარია დივიზიებს არ დაებნეთ გზა-კვალი".

1940 წლის მარტის თვეში კრემლში გამართული თათბირის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა საზღვარზე მოწყობილ პროვოკაციებს, ბერიამ თავის დღიურში საინტერესო ჩანაწერი გააკეთა:

"ვისხედით კობა (სტალინი), კლიმენტი (ვოროშილოვი), მოლოტოვი და მე. გადავწყვიტეთ, რომ დღეიდან საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავებისათვის ცეცხლი აღარ გაგვეხსნა, გავუგზავნით მხოლოდ საპროტესტო წერილებს. კობამ თქვა, რომ თუ ისინი ასე ხშირად არღვევენ საზღვარს, ესე იგი ეძებენ პროვოკაციის მიზეზს, რაც ჩვენ არ გვჭირდება.

შემდეგ სამხედროები მოვიდნენ. სამხედროებს ყოველთვის გამოვყავარ მოთმინებიდან. ჯერ ფინეთთან ომი არ დაუმთავრებიათ და უკვე სტრატეგოსებად წარმოუდგენიათ თავი. ცხვირაბზუებულები ამტკიცებენ ომი მოვიგეთო, სინამდვილეში კი ამ ომში ჩაისვარეს და შემდეგ სხვათა ძალისხმევით გაიმარჯვეს. ადრე მათთან შეხება არ მქონდა, უკანასკნელი ოთხი თვეა თავი გამაბეზრეს, ჭიანჭველებივით დაცოცავენ რუქაზე და კრუსუნებენ: ამხანაგო სტალინ! ამხანაგო სტალინ! ძალზე ცუდად ომობენ".

რა თქმა უნდა, ბერიას მხედველობაში ჰქონდა ფინეთის საომარი კამპანია და ამიტომაც თავისი ჭკუითა და გამოცდილებით ამზადებდა სასაზღვრო ჯარებს.

1940 წელს ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ თავის ბლოკნოტში ჩანაწერი გააკეთა და სიტუაცია შეაფასა უკვე როგორც ბრძენმა პოლიტიკოსმა და არა როგორც პრაქტიკოსმა-მზვერავმა:

"თოფისწამლის სუნი დატრიალდა. ნათელია, რომ გერმანელები საფრანგეთს დაიპყრობენ. ახლა მათი გავლენა მთელს ევროპაზე ვრცელდება ჩვენს საზღვრებამდე. იტალია საკუთარი პოლიტიკის გატარებას ვერ მოახერხებს. თურქებთან დამოკიდებულებაშიც გაურკვეველი სიტუაციაა.

ბალკანეთს პრორუსულად თვლიან, სინამდვილეში კი ისინი პროინგლისელები არიან. კობას ტყუილუბრალოდ აქვს სლავების იმედი. მართალია, ბელგრადში რუსები უყვართ, მაგრამ ყველაფერს ინგლისის კარნახით აკეთებენ... გადმობირებული ტყვეების დამუშავებით საინტერესო სურათი მივიღეთ. ფინეთის დაზვერვის ოფიცრებს ამერიკაში სასწავლებლად გაგზავნა პირდებიან. ასე რომ, ფინელები უმიზეზოდ არ გათავხედებულან. ამერიკას ომი სჭირდება. ეს კი ნიშნავს, რომ დაზვერვის ამერიკული ხაზი განუხრელად უნდა გავაძლიეროთ.

ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში გააქტიურდნენ ფაშისტური ნაციონალისტური ორგანიზაციები. განსაკუთრები ლიტვაში გერმანელების დიდი იმედი აქვთ..."

ეს ანალიზი სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გაკეთებული აქვს 80 წლის წინათ! ყოველი სტრიქონი, როგორც არასდროს, ისეთი აქტუალურია დღეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, საზღვრის არ იქითა და არც აქეთა მხარეს არ აღიარებენ ლავრენტი ბერიას დიდ სიმართლეს. და არა იმიტომ, რომ ლავრენტი ბერიას სკკპ XX ყრილობის დამღა აზის, არამედ იმიტომ, რომ იგი მართალი იყო მაშინ და მართალია დღესაც!

საბჭოთა კავშირში როგორც **პოლიტიკური,** ასევე **სასაზღვრო დაზვერვის** მნიშვნელობა არამც თუ დღითიდღე, არამედ საათობრივად იზრდებოდა.

"ახალ სახალხო კომისართან მუდმივ რეჟიმში განიხილებოდა გამოცდილ საბჭოთა ჩეკისტთა რეპრესირების საკითხები და ბევრ დაზარალებულს შეეხო ამნისტია და რეაბილიტაცია, ბევრი მათგანი მწყობრში დააბრუნეს, რათა ემუშავათ კონტრდაზვერვის სამუშაოთა გასაძლიერებლად და საზღვარგარეთის რეზიდენტურების ასამოქმედებლად, რომლებიც ეჟოვის პერიოდში ლამის სრულად განადგურდა. ამავე დროს, ტარდებოდა სპეცმობილიზაცია და გაწვეულთა სწავლება შინსახკომის სკოლებში" (ვ. ვინოგრადოვი, რუსეთის ფედერალური საგამოძიებო სამსახურის რეგისტრაციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი).

"დაზვერვის უწყების ახალი ხელმძღვანელები – ფიტინი და სუდოპლატოვი სხვადასხვა წინადადებებით მიმართავდნენ ხოლმე ლავრენტი ბერიას. ***მაგრამ სტალინის წინაშე, სრული პასუხისმგებლობა ნებისმიერი ჩავარდნისა და დეზინფორმაციის მოწოდებისათვის ეკისრებოდა პირადად ლავრენტი პავლეს ძე ბერიას!*** *მიუხედავად ამისა, იგი მაინც წავიდა რისკზე და აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას დაუბრუნა როგორც გამოცდილი, ასევე პერსპექტიული არალეგალები, რომლებიც ადრე სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვმიტანილები იყვნენ მავნებლობაში – საკმარისია გავიხსენოთ ვასილი ზარუბინისა და ალექსანდრა კოროტკოვას მაგალითები"* (სერგეი კრემლიოვი, ისტორიკოსი).

ზარუბინთან და კოროტკოვთან, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღოდათ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში, ბერიას სიკვდილის შემდეგ ანგარიში გაასწორა ხრუშჩოვმა.

პავლე ფიტინი. პარტიული მობილიზაციით გაიგზავნა სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული დანიშნულების სკოლის მსმენელად, სადაც მზადდებოდა კადრები საგარეო დაზვერვისათვის, რომლის დამთავრების შემდეგ იგი განაწილებით მოხვდა სახელმწიფო უშიშროების მე-5 (საზღვარგარეთის) მთავარ სამმართველოში ოპერრწმუნებულის თანამდებობაზე. უკვე 1938 წლის მიწურულს დაწინაურდა განყოფილების უფროსად, მალე კი დაინიშნა ახალ თანამდებობაზე: ოცდათორმეტი წლის ახალგაზრდა კაცი სახელმწიფო უშიშროების თავკაცი გახდა. მოკლე ხნის განმავლობაში მან აღადგინა საზღვარგარეთის 40 რეზიდენტურა, ჩანერგა მათში 200 მზვერავზე მეტი, ასევე მოახდინა მრავალი არალეგალური რეზიდენტურის რეანიმირება. ეს მალე აისახა უწყების მუშაობის შედეგებზე – ცენტრში წამოვიდა საიდუმლო ინფორმაციის ნიაღვარი.

სიტყვისათვის, ბერიას არ უყვარდა ფიტინი. ნუ ჩავეძიებით, თუ რატომ და ვინ ააგორა ინტრიგები, რაც მათ შორის განხეთქილების მიზეზად იქცა. მაგრამ ამგვარ პირად ანტიპათიას გავლენა სულაც არ მოუხდენია სამსახურეობრივ დამოკიდებულებაზე. ლავრენტი ბერიასათვის მთავარი გახლდათ მხოლოდ საქმე და სხვა არაფერი.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲒᲖᲐ — ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲫᲐᲠᲪᲕᲐᲨᲘ?

ინტერნეტსაიტებზე, უცხოელ ავტორთა ძველ თუ ახალშექმნილ წიგნებში სტალინზე, უმნიშვნელოვანეს და სკანდალურ ამბავთა შორის ლამის პირველ ადგილზეა ბესო ჯუღაშვილის ახალგაზრდობის წლების **“ცოდვა”** — ექსპროპრიაციად მონათლული ბანკის გაძარცვა თბილისში.

ამ **“ტერორისტულ აქტს”** ისე შთამბეჭდავად აღწერენ, რომ ძნელია არ ერწმუნო მავანთა მტკიცებას. 1907 წლის 13 ივნისს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე თბილისის მაშინდელ მთავარ, ერევანსკის მოედანზე ბომბების აფეთქებამ მთელი ქალაქი შეაზანზარა. ხმა გავარდა, რომ თანხის გადატანისას თავს დაესხნენ ფულით დატვირთულ თბილისის ბანკის ეტლს და თვალის დახამხამებაში გაძარცვეს! კარგად ორგანიზებულ მძარცველთა ბანდას კი ბესო ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდაო... მეტიც, იმ გოგონების ვინაობასაც ასახელებენ, სტალინს რომ **“გვერდით ედგნენ”** ტერაქტისას... ამ ტერაქტს თავის დროზე ფრანგული **“ლე ტემპიც”** გამოეხმაურა და ინგლისური **“დეილი მირორიც”**...

კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში განხორციელებული ტერაქტად შერაცხული ბანკის ძარცვის თემას და გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ჩვენეული ვერსია.

მოგეხსენებათ, ექსპროპრიაცია ერთი კლასის მიერ მეორისთვის საკუთრებისა და, ამასთან ერთად, სოციალური მდგომარეობის ჩამორთმევას ნიშნავს. ექსპროპრიაციად მოინათლა თბილისში გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარი ტერორისტული აქტი, რომელსაც სტალინს მიაწერენ. ეს ის პერიოდია, როდესაც ნოე ჟორდანიამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ელიტაში მდგომარეობა განიმტკიცა. დამარცხებული იოსებ ჯუღაშვილი ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ (1907 წლის 19 მაისი) თბილისში დაბრუნდა.

თბილისში მას აღარ ედგომებოდა და მალე ბაქოში გადავიდა. 1907 წლის 20 ივნისს ბაქოში გამომავალი არალეგალური გაზეთის **“ბაკინსკი პროლეტარის”** პირველ ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის წერილი **“სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები”**. წერილი 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ რუსეთის მეორე სახელმწიფოს დათხოვნას ეძღვნებოდა. გაზეთის იმავე ნომერში დაიწყო და მეორე ნომერში (გამოვიდა 1907 წლის 10 ივლისს) დასრულდა იოსებ ჯუღაშვილის ვრცელი წერილის ბეჭდვა **“რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა” (“დელეგატის წერილები)”**.

...მანამდე კი თბილისში მოხდა ამბავი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსეთის იმპერიასა და მთელ მსოფლიოში.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნიდან ტერორისტებმა გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი ფული — 250 ათასი მანეთი (ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები). საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ერევანსკის მოედანზე ექსპროპრიაცია განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა (რსდმპ თბილისის კომიტეტმა). ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო იოსებ ჯუღაშვილი, ხოლო უშუალო შემსრულებელი სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო).

საარქივო მასალების შესწავლის შედეგად კი დადგინდა, რომ იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, მეტიც, ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ესერთა პარტიის წევრები:

1) სარქის ალექსანდრეს ძე ოთაროვი — მეშჩანი, 48 წლის, სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა, ამიერკავკასიის ოლქის სადაზღვევო საზოგადოების აგენტი, მცხოვრები თბილისში, მალაკნების ქუჩაზე, №50 სახლში;

2) ვასილ ვასილის ძე პილეცკი — მემამულე, 22 წლის, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ფოსტის გადაზიდვის მერვე განყოფილების თანამშრომელი, მცხოვრები თბილისში, სადგურის ქუჩაზე, №12 სახლში.

უფრო დაწვრილებით, საარქივო მასალების მიხედვით, საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის საქმის ძიების პროცესში 1907 წლის 13 ივნისიდან 9 ნოემბრამდე ძიებას ეჭვიც კი არ აღძვრია ექსპროპრიაციაში სიმონ ტერ-პეტროსიანის (კამოს) მონაწილეობის თაობაზე. კამოს შესახებ ძიების მასალებში ცნობები ჩნდება 1907 წლის 9 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის პოლიციამ კამოს ორი ბრალდება წაუყენა: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქის დიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება (ეს პასპორტი კამომ თბილისში აბანოში მოპარა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატს დიმიტრი მირსკის) და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა.

რაც შეეხება ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას — კამოსთვის ეს ბრალდება არ წაუყენებიათ. 1908 წლის მარტში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებული ექსპროპრიაციიდან ცხრა თვის შემდეგ, ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა — ტერორისტმა არსენ ქარსიძემ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს წერილობით აცნობა, რომ ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცა სიმონ ტერ-პეტროსიანმა, იმავე კამომ. ძიებამ არსენ ქარსიძის ჩვენება მაშინვე სიმართლედ მიიღო და 1908 წლის 20 მარტისათვის კამოს მონაწილეობა ექსპროპრიაციაში დამტკიცებულად მიიჩნია. ამავე დროს კამო ოპერაციის ხელმძღვანელადაც მიიჩნიეს.

საიდან უნდა სცოდნოდა არსენ ქარსიძეს ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ? საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსენ ქასრიძე ან პროვოკატორი იყო, ან უბრალოდ რაღაცას ურევდა. თავის ჩვენებაში არსენ ქასრიძე აღნიშნავდა, რომ კამო გენერალ ალიხან-ავარსკის მკვლელობაში მონაწილეობდაო. ცნობილია, რომ კამოს ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

ძიების მასალებში თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით იოსებ ჯუღაშვილის ხსენებაც კი არ არის — მასზე ეჭვიც არავის მიუტანია.

სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) დაკავშირება 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1908 წელს ვლადიმერ ლენინის უახლოესი თანამებრძოლი მეიერ ვალახი (იგივე მაქსიმ ლიტვინოვი, შემდეგში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი) შვეიცარიაში დააპატიმრეს თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. ეს ფაქტი გახმაურდა მთელ ევროპაში. მაინც, ვინ გაიტაცა ფული? — ამ კითხვას პასუხი თავისთავად გაეცა, რადგან გატაცებული ფული ბოლშევიკების ლიდერ ვლადიმერ ლენინთან აღმოჩნდა.

ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას კვლავ დააპატიმრეს ვლადიმერ ლენინთან დაახლოებული პირები: ნიკოლაი სემაშკო (შემდეგში საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი), სარა რავიჩი (ბოლშევიკ გრიგოლ ზინოვიევის მეუღლე) და სხვები, თუმცა ძიებას 1912 წელსაც კი არ ჰქონდა იმისი დამამტკიცებელი მასალა, რომ ექსპროპრიაცია თბილისში სოციალ-დემოკრატებმა — იოსებ ჯუღაშვილმა და სიმონ ტერ-პეტროსიანმა — განახორციელეს.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კამოს არავითარი საერთო არ ჰქონია, თუმცა გატაცებულ ფულთან მას კავშირი მართლაც ჰქონდა. ესერებმა ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცოდა, მაგრამ სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტებს თავს არ ესხმოდა. სამაგიეროდ, თბილისიდან გამავალი ყველა გზა შეკრული იყო, ავლაბარიც ალყაში იყო მოქცეული. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ესერები მიხვდნენ, რომ ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანდნენ და დახმარებისათვის ყველაზე შესაფერის კაცს — კამოს მიმართეს. თუმცა საარქივო მასალებიდან არა ჩანს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კამომ საქმის კურსში ჩააყენა იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც იმხანად ბაქოდან თბილისში დაბრუნდა.

კამომ თბილისიდან საზღვარგარეთ ფულის გატანის ოპერაცია უნაკლოდ განახორციელა, მაგრამ ესერები მოატყუა და ფული ვლადიმერ ლენინს მიუტანა. ცხადია, დამოუკიდებლად კამო ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, მას ვიღაც მართავდა. ვისი დავალებით მოქმედებდა კამო, საარქივო მასალებიდან არც ეს დგინდება.

ამრიგად, აღნიშნული მასალების მიხედვით, 1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯუღაშვილს მონაწილეობა არ მიუღია...

იოსებ ჯუღაშვილს თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაცია მოგვიანებით, 1918 წელს, გაუხსენა ლევ ტროცკიმ (ბრონშტეინმა). მან იოსებ ჯუღაშვილს საჯაროდ დასდო ბრალი ტერორისტებთან კავშირში. ვლადიმერ ლენინმა საქმე განსახილველად პარტიულ სასამართლოს გადასცა. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ლიდერმა თავი დაიზღვია და ობიექტურობის დაცვის მიზნით პარტიული სასამართლოს თავმჯდომარედ იმხანად ემიგრაციიდან დაბრუნებული მენშევიზმის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იული მარტოვი (ცედერბაუმი) დაასახელა. იული მარტოვის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას კმაყოფილებით შეხვდა ლევ ტროცკი. პარტიულმა სასამართლომ გულმოდგინედ იმუშავა, მოუსმინა ლევ ტროცკისაც და იოსებ ჯუღაშვილსაც.

განაჩენი ასეთი იყო: იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კავშირი არ ჰქონია! მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1907 წელს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციას დღემდე იოსებ ჯუღაშვილს მიაწერენ. მემუარული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკიდან და ისტორიოგრაფიიდან ამ თემამ მხატვრულ ფილმსა და ლიტერატურაში გადაინაცვლა. დაინტერესებულ პირთა ერთი ნაწილისათვის ის სიმართლეა, მეორე ნაწილისთვის — სიცრუე...

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ,
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ “ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ”, №1

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲒᲔᲚᲘ ᲢᲝᲢᲘᲐ

არჩევნებისას, რომ ვთქვათ მარტივად,
„მაჟორიტარებს“ რით სჯობს პარტია?
პარტიით სურვილს ვინ დაიურვებს
სკამით დე ფაქტოდ და დე იურედ?
— ასეულთაგან 15-ს „კვოტი“ აქვს,
და სტრასბურგამდე გასდევთ მოტივად,
როდესაც გშია, მამაც ბოტია,
როგორც ბებერი მგელი ტოტია!

ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

„მაჟორიტარულს“ ამჯობინა „პროპორციული“,
ვისაც ჰგონია არჩევნები ნამი ციური
და გაამძაფრა ანარქია ტრადიციული!
მაშ, ვენეციის კომისია რად გაახსენდა?
ო, ბოზიც კი არ,
არ იკადრებს ამდენ დასმენას!
და გეკითხები ყალბზე ყალბო ოპოზიციავ,
(ხალხისთვის ვისაც არასოდეს არ მოგიცლია),
რატომ დაგრია ხელი კვლავ სენმა
და სამკურნალოდ დღემდე რატომ არ აგიცრია,
როდესაც ყველგან უკვე ძალზე კარგად იციან,
რომ გსურს სტრასბურგი დაამგვანო ჭორის არსენალს!

ᲒᲔᲔᲜᲐ*

1992 წლის ოქტომბერში სოხუმში ბონდო მძინარიშვილთან და კლარა აბრამიასთან ერთად მივლინებული ალყაშემორტყმულ ქალაქში დელტოპლანებით შემოფრენილ დივერსანტთა მომრავლებამ გამაკვირვა.ზუსტად 25 წლის შემდეგ დელტოპლანები მავთულხლართების გაყოლებაზე ხანძრისაგან დამცავი სპეციალური ხნულების გავლებამ და იმან შემახსენა,რომ ცეცხლმა უმეტესად იქ იმძლავრა, სადაც კაციშვილს ფეხი არასდროს დაუდგამს!

ხანძრის გადამღობ და დამცავ თხრილებს,
ვინ რად ავლებდა, ყველამ ვიხილეთ
და როცა ცეცხლზე ესხმება ნავთი,
ვერ ვისვენებ, თუ სათქმელი არ ვთქვი.
სეპარატისტთა ერთერთმა „ბოსმა“,
ხანძრები როცა დაანონსა,
რატომ დაგვპირდა გეენით მოსრვას
და თავზე დამტყდარ მეორედ მოსვლას?
...ცეცხლის ენები, ედემს რომ წვავენ
და ნაცრისფერად აქციეს მწვანე,
სოხუმს მახსენებს მწვავეზე მწვავედ,
მის ვარვარა ცას და დელტოპლანებს!

**გეენა, იგივეა,რაც გეჰინომნი, „თანამდებრ არს იგი გეენიასა მას ცეცხლისა“. (მათე)*

ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲐ

ვინც შენატრის „ვირს“ ან „სპილოს“,
მათ მახლობლად ყოფნას ცდილობს,
და ადგილებს ცვლიან ოდეს,
იმ წუთიდან ტელეს, პრესას
შეცვლილი აქვთ ოდა,
ჰოდა,
ბაიდენი არ აბოდებთ,
უმღერიან მაიკლ პენსა!
(ფერი ფერს და მადლი ღმერთსა!)

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,
(გალასეული ნუსხით თბილისელ-ქუთაისელი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე)

ილორი

მერაბ კოსტავას პოეზია

ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოიდგინებოდნენ და ლექსშიც რაინდებად, იდეალურ მეგობრებად წარმოჩნდებიან, უკეთურთა მცდელობის მიუხედავად: **"გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი, შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის, მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი, მკრთალნი რაინდი მწუხარე სახის!"**.

მათ იმედებს კვებავდა **"ცხოვრების წყარო, თვალი არსთაგანმრიგის"**.

ლექსში ნათლად ჩანს მათი ოცნებების სიდიადე, ღვთისმშობლის წილხვდომილი მამულისათვის თავდადებულთა მაღალი მისია: **"და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი, ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული... დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინც დაიწინდა. ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვალავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი"** (1,9-10).

"მზე შუადამის" საღვთო სახელია, **ბარძიმი, გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი"** (16,38).

"სამერმისო ერის მისიაზე" მუდმივად მოფიქრალი პოეტი ოპტიმისტურად უყურებდა ჩვენი ქვეყნის მომავალს: **"დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შემოქმედისა გვპირდება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომად ქართლის ბედისა"** (ტანჯვათა ტიტანი) (1,17).

მერაბ კოსტავა მეცნიერების შესახებ

მერაბ კოსტავას ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური თვალსაწიერის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ის იყო ერის სინდისი, ქრისტეს მებაღე, ზნეობრივი რაინდი, სულიერ ომში ჩაბმული **"რწმენის აბჯრით, სიტყვის მახვილით, სულის საჭრეთლით"**.

სულის ხილვის, **"გულის სმენით"** მომადლებული პოეტი მთელ სამყაროს იტევდა საკუთარ არსებაში, მიღმურში გადახედვას, ცისა და მიწის საიდუმლოებათა შეცნობას ცდილობდა, გათავისებული ჰქონდა ბიბლიის, ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა სიბრძნე, სულით მოგზაურობდა ანტიკურ ეპოქაში, კრიშნას ინდოეთში, შეეძლო გამოეხმო ენქიდუს, გილგამეშის, აქილევსის, ლაერტის, განდის, შამილის, ოზირისის, იზიდას, გარდაცვლილი შვილის აჩრდილები, ეპაექრებოდა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ნაწვნევი ჰქონდა **"ოკულტიზმის ნესტარი"**.

მერაბ კოსტავას იდეალი იყო ცნობიერების ყველა უფსკრულის და ყველა მწვერვალის მომვლელი, ეროვნული ფენომენის შემცნობ-დამფასებელი **"მაკროკოსმიური"** ადამიანი, **"მსოფლიო კაცი": "საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომს"** (ტანჯვათა ტიტანი) (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 17).

პოეტს ეიმედებოდა **"ქვეყანა ღმერთის მაძიებელი"** (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 17).

მერაბ კოსტავას სულიერი სიდიადის მასაზრდოებელი იყო **"საღვთო ეთიკა", "საღვთო ტრფობა",** საღვთო სიბრძნე.

სულიწმიდის ხელდასხმული, სიბრძნის წყაროს ეწაფებოდა, პიროვნული ეგოს სიღრმეს სწვდებოდა: **"...მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი წილხვედრი, შენი არჩივი"** (სფინქსი).

მეცნიერების, ინტელიგენციის, როგორც ერის წინამძღოლის, როლს და მნიშვნელობას გაისიგრძეგანებდა.

მერაბ კოსტავას აზრით, ნამდვილი მეცნიერი არის **"მთარგმანებელი, წამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამძიებელი და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის"** (ბიბლიური რემინისცენიები).

ჭეშმარიტი პოეტი და მეცნიერი უხილავის მჭვრეტელია, უტყუარი ინტუიციის, მთელი გალაკტიკის საიდუმლოებათა მაძიებელი, მეფისტოფელის შემმეცნებელი, მიწისა და ცის იდუმალების, **"ზეციური გეომეტრიის"** საცნაურმყოფელი (გალაკტიონი).

პოეტის დევიზი იყო: **"სცან შენი მოდგმის ბალავერი, ... მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა, ის**ტორია ცისა და მიწის, ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი", "იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ" (ბიბლიური რემინისცენიები).

ჭეშმარიტი კულტურა მხოლოდ რელიგიურია, ურწმუნონი "ბრმადშობილები" არიან, **"ცნობიერებას მათთვის აზრი არ ემეტება"** (იქვე).

მერაბ კოსტავას წერილებსა და ლექსებში დასმულია მეცნიერებისა და ზნეობის, განსჯისა და ეთიკის მარადაქტუალური პრობლემები.

ამ ცნებათა დაპირისპირებას თუ მორიგებას შორეული ისტორია აქვს.

იესო ქრისტე ამხელდა მწიგნობართა ნიღბით მოვლენილთ, ფარისეველთ, თვალთმაქცობაში, ანგარებაში, ურჯულოებაში სდებდა ბრალს, უწოდებდა **მათ "ბრმა წინამძღოლებს", "იქედნეთა ნაშობ გველებს", "უწმინდურ მკვდართა სამარხებს"** და ჯოჯოხეთს უწინასწარმეტყველებდა: **"ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსენია მკვდართა ძვლებით და ყოველგვარი უწმინდურებით.**

ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობით და უსჯულოებით ხართ აღვსილნი.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო..., იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს" (მათე, 23,24,27,33).

ბიბლიაში გარჩეულია **"მიწიერი ცოდნა"** და ჭეშმარიტი სიბრძნე (ბარუქ წინასწარმეტყველი), პირველი სულის დაღუპვას, ხოლო მეორე ტაძრისკენ მიმავალი გზის პოვნას მოასწავებს.

პავლე მოციქული განასხვავებდა **"ხორციელ სიბრძნეს"** და "ღვთის მადლს" (II კორინთელთა, 1,12), **"ცოდნას"** და **"უკუღმართ გონებას"** (რომაელთა, 2,28).

ნეტარი ავგუსტინე ამხელდა მეცნიერებად წოდებულ სიყალბეს: **"ეკრძალენით საზარელსა და არაადამიანურ ამპარტავნებას, გარყვნილებათა ფუჭ სიამეს და იმას, რაც ყალბად იწოდება მეცნიერებად"** (ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995, გვ. 294).

ნიცშეს იდეალი იყო სისხლით დაწერილი სტრიქონები, რადგან მხოლოდ სისხლით შეიცნობა სული (ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 35). სხვათა აზრებზე მონადირე მეცნიერებს ასე ამათრახებდა ნიცშე: **"გამოველ მეცნიერთა სახლიდან და კარიც გამოვიჯახუნე.**

...ისინი უდარაჯებენ სხვის ცოდნას, ვით ობობა.

მათი საქმენი და ჭეშმარიტებანი მამცივნებენ. მათ სიბრძნეს რაღაც სუნი ასდის, თითქოს წუმპეს წარმოეშვას...

...ფრთხილად შხამს ამზადებენ... ყალბი კამათლებით იციან თამაში.

...აქ დიდ აზრებს ცოცხლად ადუღებენ და ხარშვით ამცირებენ...

...მათი სული... ზღვა ამაოებისა... სული... ბინძური ძონძებივით... და ამ ძონძებისგან გაზეთსაც აკეთებენ...

ძლიერ მცირე ცოდნა გვაქვს, ამად გვჭირდება სიცრუე";

ნიცშე საუბრობდა **"მმეცნების ყინულზე", "მმეცნების გველზე", "მეცნიერ ნახევარ რეგვენზე", "მღვდელთა ზებრძნულ რეგვენობაზე", "უცხოთა აზრებით ბრძნობაზე"** (ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 62).

შტაინერი გმობდა არიმანული ძალების მკვდარ, ზემიწიერს მოწყვეტილ ინტელექტუალურ აზრებს და აზროვნების ამოცანად მიიჩნევდა **"სულიერებისკენ მიმავალი გზის"** პოვნას.

"სამშვინველისთვის გამაჯანსაღებელია თაყვანისცემა, მოკრძალება, მოწიწება, აღიარება. აღიარების ღირსის გაკიცხვა, ზიზღი..." იწვევს შემეცნების აქტივობის დასუსტებას და ჩაკვდომას.

"...მცდარი აზრი ისევე გამანადგურებლად მოქმედებს იდეათა სივრცის გამაცოცხლებელ აზრებზე, როგორც ბრმად ნასროლი ტყვია გზად შემხვედრ ფიზიკურ საგნებზე", გვამცნობს შტაინერი (რუდოლფ შტაინერი, როგორ მიიღწევა ზენა სამყაროს შემეცნება, თბ. 1993, გვ. 12), რომელსაც უბედურებად მიაჩნდა **"ზემიწიერი ძალებისგან მოწყვეტა, მიწაში დაძირვა"** (რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994, გვ. 270,273).

ილია ჭავჭავაძეს იდეალურად ესახებოდა გაბრიელ მთავარეპისკოპოსის აზროვნება, რადგან იგი **"სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა"** (სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების დღეს).

კონსტანტინე გამსახურდია **"სხვისი აზრებით მუცელამოყორილ"**, უპრინციპო, მედროვე მეცნიერ-კრიტიკოსებს **"ინტელექტუალურ ინვალიდებს"** უწოდებდა და ადარებდა უნივერმაღის კარებს, რომელიც იქით იღება, საითაც ხელს ჰკრავ. დიდოსტატი აფასებდა მხოლოდ კეთილშობილური იდეებისათვის აბჯარასხმულ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც **"გულის სისხლით"** ქმნიდნენ.

მერაბ კოსტავა ავითარებდა მოსაზრებას: **"მეცნიერებისკენ გადაგმულ ერთ ნაბიჯს თან უნდა ახლდეს მორალობისათვის გადაგმული ორი ნაბიჯი"** (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991, გვ. 84).

ოთარ ჭილაძე ვერ იგუებდა **"ინტელექტუალურ მეძავებს", "ინტელექტუალურ ნაგავს", "ფიქრების ჯართს", "ოცნების შლამს" ("აველუმი"**, გვ. 309, 514).

ასევე, მავანნი ხშირად საუბრობენ **"ლიტერატურულ პროსტიტუციაზე", "ლიტერატურულ ასინეთებზე"**.

პოეტი ხედავდა ურწმუნო მეცნიერთა უგნურ, მხოლოდ პრაგმატულ დამოკიდებულებას დედამიწისადმი, რომლებიც სამყაროს მესაფლავედ ქცეულიყვნენ და სულიერი გზების ჩახერგვაზე, ადამის ნაშიერის გაწირვაზე აკეთებდა აქცენტს: **"შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნახადი,... გინდათ რომ უკუსვლით ვიდოდეს სამყარო, გსურთ რომ დედამიწა, როგორც ღორმა მუხა, დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ. ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა, უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო, ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება თავად დედამიწის ხდება მესაფლავე. გონება ეფლობა სიბილწის სკორეში..., გეენის ქეცაფმა როდემდე იდინოს, შხამი და ბალღამი გამყიდველ პრესის... ვაჰ, თუ ჩაირაზა გზები სულიერი, ვაჰ, თუ გაიწირა ადამის თესლი... კუშტად გადმოსცქერის სამყაროს მიქაელ არქისტრატეგოსი ზეციურ მხედრობის" ("შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნახადი"** (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 85-86).

"ცრუ მეცნიერთაგან" განსხვავებით, მერაბ კოსტავა ჭეშმარიტ მეცნიერს უწოდებდა შლიმანს, რომელმაც მითოსი აქცია გზამკვლევად და აღმოაჩინა ნანგრევებში ჩამარხული ტროა: **"ცრუ მეცნიერთა აზრებმა მქისემ როს შეგიბღალეს ტრფობის საგანი... წყვდიადს გადაჰკარ ჭავლი სინათლის და აქაველთა განთქვი დიდება, მითოსში იგრძენ ძირი სიმართლის, მითოსით გახსენ ჭეშმარიტება... გწადდა და მკვდრეთით კვლავ აღდგა ტროა, ტროა, დიდება აგამემნონის"** (შლიმანს).

ზნეობისა და ტექნიკური მეცნიერების პრობლემაა დასმული ლექსში **"რუსთავი"**, რომელშიც პოეტს აღიზიანებდა **"კაენის მოდგმა" "სამსალის ბკე"**, სილფების **"მჭვარტლის სამოსი"** (მერაბ კოსტავა, ლექსები).

საზოგადოების ზნეობრივ **"გადაგვარებაში" "გადაშენების"** საფრთხეს ხედავდა პოეტი: **"...ატავიზმისგან ხელყოფილი თუ არ განახლდა და სამერმისო დვრიტად კაცში თუ არ ჩასახლდა, წარსულს სინედლის სიო თუ არ მიეკარება, გადაშენებით დასრულდება გადაგვარება"** (ბიბლიური რემინისცენიები).

დიდი სულიერი აღმოჩენების საფუძველია **"ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი", "საღვთო ეთიკა"**, მაგრამ არ ცხრება **"ბოროტების შავი გენია"**. ის ცრუ სასწაულებით აბრუებს **"ბრმადშობილთ"** და მათთან სატანა სისხლით სდებს ხელშეკრულებას.

"ეშმას ნაზირი" ვერასდროს მიაღწევს სისხლისა და სულის კავშირს, ვერ ეზიარება ამაღლებულ იდეებს: **"...ამაოდ დაშვრა მწიგნობარი, ეშმას ნაზირი, ერთან ძნელია სულისა და სისხლის კავშირი"**.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **"ხალხს დამიწებულს რა აღმართავს, მაღლა რა ასწევს?"**.

სამომავლოდ ღირებული მეცნიერული ნაღვაწი არა მხოლოდ გონების ცივ განსჯას, არამედ ზნეობრივ საფუძვლებს ემყარება, ოდენ წმინდათა წმინდა საკურთხეველს მიმსგავსებულ მაგიდაზე ივანებს ჭეშმარიტება, მხოლოდ სისხლით დაწერილში ვლინდება სული: **"სულის გარეშე არ არსებობს სხვა თვალსაზრისი, სისხლის ქმედება არის მისი ინფორმაცია და შედეგები არ იქნება შესაბამისი, განსჯამ ზნეობის საფუძვლები თუ გადასძალა. სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი წმინდათა წმინდა საკურთხევლად თუ არ აქცია"**.

ეპოქის სატკივარია რწმენის, საღვთო სიბრძნის დეფიციტი და პოეტი კითხულობს: **"ტაძართა სიბრძნე რად დაკნინდა, რად დაექანა?"**.

ცოდვილები მოკლებული არიან **"იდუმალების დასწყვეტიათ წყარო ცოდვილთა, სიბრძნეს, დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამ მუდამ, ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა"**.

ღმერთია სამყაროს არქიტექტორი, მსოფლიო სცენის დრამატურგი და რეჟისორი. ზეცა განსაცდელს იმიტომ უვლენს ადამიანებს, რომ გამოიწრთოს კაცთა მოდგმა, სძლიოს სიბნელეებს. განიწმინდოს, ჭეშმარიტებას, ცხოვრების საზრისს მიაგნოს. ინდივიდი პიროვნებად იქცევა ზეეროვნული იმპულსებით, ცის ჰარმონიას ეზიარება.

ადამიანს, ერს უნდა ახსოვდეს მოწიწება უფლის სახლისადმი, მამა-პაპათა საძვალენი, უნდა ეძებოს **"წარუვალი საუნჯე", "სული ცხოველი"**, რწმენა, კანონს სიქველე უნდა შეეშველოს მოყვასისადმი, **"რომ არ განიბნეს ისტორია ცისა და მიწის"**.

მხოლოდ **"ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი"**, მსოფლიო კულტურებთან კავშირი, **"ზეციური გეომეტრიის"** გაგება, მსოფლიო დედასთან – სულიწმინდასთან ზიარებაა წარმატების გარანტია.

პოეტს ახარებდა ადამიანის თვალის ახელა ახლებურად, ბაბილონის გოდოლის დანგრევა. უზენაესი ნათელი, სიბნელის დამარცხებაა ჭეშმარიტების მიგნების საწინდარი, რათა მიღწეულ იქნეს **"აზრების სთველი"**.

აზროვნების მიზანია მეფისტოფელის შემეცნება, **"სამყაროს საცნაურყოფა", "სულის წრთობა"**, მიწიერი და ციური საწყისების მორიგება და შემოქმედების კუთვნილებად ქცევა.

არა მხოლოდ ცოდნა, სიბრძნე, არამედ რელიგია, სიყვარული, მშვენიერებაა ბედნიერების, ხსნის გზა: **"აღარ გაბადია შენ სხვა რელიგია, ვერსით მოიპოვო სხვა ბედნიერება, ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ"** (ეტიუდი) (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 81).

"სიყვარულია ღმერთი" (იოანე, 4,8) გვასწავლის ბიბლია.

"სიბრძნის წყაროა უზეშთაესი" (სფინქსი), მოძღვართ-მოძღვარია უფალი (ეტიუდი), გვმოძღვრავს წიგნთა წიგნის ჭეშმარიტებით გაბრძნობილი პოეტი. **"სულიერი პლანეტის"** აშენების სტიმულია **"ტაძართა სიბრძნის"** გათავისება, **"საღმრთო ტრფობა"**, რათა ამოიხსნას **"სფინქსის ქარაგმები"** (სფინქსი).

მერაბ კოსტავას შემოქმედებაში უფლის მებაღედ და მევენახედ გრაალის მცველი რაინდები გვევლინებიან (გალაკტიონი).

"გრაალი არის სიმბოლო სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა" (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990, გვ. 38).

ლუარა სორდია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიო გარდაქმნის პროცესში

მსოფლიოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს თუ თვალს გადავავლებთ, უდავოდ დავინახავთ დაძაბულობის ტემპერატურის მატებას, ქვეყნებს შორის უნდობლობის ზრდას, დაპირისპირებას, იარაღის შეძენისთვის კოლოსალური რაოდენობის თანხების გაღებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის გაფართოებას – ცუდი პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვა ნეგატიურ მოვლენებს და რაც მთავარია რეგიონულ ომებს, ტერორიზმს, უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას, ახალი რეგიონული ომის დაწყების შანსს, რომელიც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება გადაიქცეს გლობალურ ომად – ბირთვული იარაღის გამოყენებით.

სხვა ნეგატიური მომენტების გახსენებაც არ გვაწყენდა, თუმცა რაც ჩამოვთვალე საკმარისია უძილო, ფათერაკიანი ღამისა და კოშმარული სიზმრებისთვის.

თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიამ, მსოფლიოს საინფორმაციო ქსელის განვითარებამ ერთმანეთს დაუახლოვა ქვეყნის დასალიერს მომხდარი ამბავი, ე.წ. მსოფლიოს ცენტრში მცხოვრები მოსახლეობის სულსა და გონებას. წამებია საჭირო შორეული ახალი ზელანდიის მოვლენის, ცენტრში მცხოვრებთა გაზიარებისთვის. გლობალიზებულ მსოფლიოში უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს კარგი თუ ცუდი ამბების, განსაკუთრებით ცუდის, სენსაციურის გატყორცნა ინტერნეტ სივრცეში, რომლებიც ტელეეკრანების მეშვეობით უმალ ედება ჩვენს გონებას.

ახლო აღმოსავლეთის ცხელი წერტილები სირია-ერაყის სახით აღარ არის შორეული არა მარტო ჩვენთვის, არამედ ავსტრალიაში მცხოვრებთათვის. მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია ყოველივე და ის, რაც მივიღეთ, გვეუბნება, რომ ეს დასაწყისია, ხვალ უფრო მეტი იქნება – განსხვავებული, დაუჯერებელი, თუნდაც დღევანდელი ცხოვრებისთვის.

განვითარებულ მსოფლიოს, რომელსაც არაერთი ნაკლი აქვს – შიმშილის, უწყლობის, სხვადასხვა სახის დაავადებათა თვალსაზრისით, სხვაგვარი მიდგომა ესაჭიროება, რომელიც მოაგვარებს ქვეყნებსა და ხალხებს შორის შექმნილ უთანაბრობას, თვით ქვეყნებში გაჩენილ დისბალანსს, რომლის მიხედვით დედამიწაზე შექმნილი სიკეთეებით მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი პროცენტები ხარობენ.

მდიდარ-ღარიბს შორის შექმნილი დისბალანსი თავბრუდამხვევი ტემპით იზრდება და თუ არ გამოიძებნა გონივრული ბარიერი, მსოფლიო ღარიბთა რისხვის წინაშე აღმოჩნდება. საჭიროა ძალა, რომელიც ყველა ჩამოთვლილ პრობლემას გონივრულად მიუდგება, შეეცდება მათ დაძლევას და არა გაუარესებას. ასეთი ძალა არსებობს და ის ერთი ქვეყნის ხელთ არის. მას ხშირად უწოდებენ ჰეგემონს, პირველ ქვეყანას, სუპერსახელმწიფოს, რაც უდავოდ შეეფერება ამ ქვეყნის განვითარებულ მეცნიერებას, ეკონომიკას, საფინანსო-საბანკო სისტემას, შეიარაღებულ ძალებს.

აშშ-ია ეს ქვეყანა. ქვეყანა, რომელმაც, მეორე ძლიერი ქვეყნის დაშლის შემდეგ, ხელში აიღო მსოფლიოს ლიდერობა. მსოფლიოში ასეთი ინიციატივა მისთვის არვის დაუვალებია, მაგრამ არსებულმა ვითარებამ, მისმა მოწინავეობამ ყველა სფეროში თავისთავად გადაწყვიტა ამ ქვეყნის პირველობა.

თითქმის 30 წელია, რაც აშშ-ი არის ასეთ ამპლუაში – მსოფლიოს ზედამხედველის, სხვათა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შემფასებლის, ჟანდარმისა და პოლიციელის სახით. გაართვა თუ არა მან თავი მსოფლიოს უცილობელი ლიდერის როლის შესრულებას?

ამ კითხვაზე პასუხის პირდაპირი გაცემა გაჭირდება, თუმცა ერთ-ერთი უცხოელი ექსპერტის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, უარყოფით პასუხს მივიღებთ. აი, ისიც – რა ბედნიერი იქნებოდა მსოფლიო, რომ აშშ-ი თავის კონტინენტზე დარჩენილიყო. დავუშვათ ასეთს ჰქონდა ადგილი, არ გამოჩნდებოდა სხვა ქვეყანა ლიდერობის, ჰეგემონობის მოტრფიალე?

კითხვაც და პასუხიც ფანტასტიკური, ვირტუალური აზროვნების ნაყოფი იქნება, მაგრამ გამოწვეული სრული ობიექტურობიდან – ჰეგემონის მიერ გამოვლენილი თვისებებიდან, იმ ნაკლოვანებებიდან, რაც მან (ჰეგემონმა) თავი დაგვამახსოვრა ერთპიროვნული ლიდერობის ჟამს.

ვიყოთ გულწრფელნი და ვაღიაროთ აშშ-ის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ მისი ერთპიროვნული ლიდერობის დროს გაუარესდა თუ გაცილებით ადრე, როდესაც მან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ნიღბით დაიწყო ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში ხელის ფათური?

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დაწყებული, დღეის ჩათვლით, იმდენად გახშირდა ამ ქვეყნის დროშის დაწვის ფაქტები სხვადასხვა ქვეყანაში, რომ მის მიმართ სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია. ევროპის ქვეყნებში, რომელთაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება გაუწიეს აშშ-ა, გულზე არ ეხატებათ ის. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ხალხს არ მოსწონს მედიდური, ყოყოჩა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ქვეყანა, რომელიც მუდამ ჭკუას გარიგებს, გსჯის, დავალების ან დირექტივის შეუსრულებლობისთვის სანქციებს გიწესებს, უკანონო ქცევას, კანონიერად წარმოაჩენს.

როდესაც ასეთი ქვეყნის პრეზიდენტი სისტემატურად გაიძახის აშშ-ს განსაკუთრებულობის თაობაზე, სულაც არ მეტყველებს ამ ქვეყნის პოლიტიკოსთა განსწავლულობაზე, ზრდილობასა და ტაქტზე. ამ დაავადებით არა მარტო აშშ-ს პოლიტიკაა დასნეულებული, არამედ საზოგადოებაც, რომელსაც თავი ყველაზე უკეთესად, წარმატებულად და მცოდნედ მიაჩნია. ის არის მწვერვალზე, შემდეგ არის სიცარიელე, რის შემდეგაც არიან სხვა ქვეყნები და ერები.

დიახ! აშშ-ს ჰყავდა გონიერი პოლიტიკოსები, რომლებმაც შეძლეს აშშ-ს ისეთად გადაქცევა, როგორიც დღეს არის. მათ ჩაუყარეს საფუძველი და განავითარეს ქვეყანა წარმატებული და მოწინავე, სხვასთან შედარებით, მაგრამ, როგორც ჩანს პოლიტიკური აზროვნების დონე შეირყა, დაკნინდა და კარდინალურ ცვლილებას საჭიროებს, რაც არცთუ იოლია, ვინაიდან ასარჩევთა მრავლობითი არმიიდან ასარჩევიც არ ჩანს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და პრეზიდენტ რუზველტის გარდაცვალებიდან დღემდე აშშ-ა არაერთი პრეზიდენტი გამოიცვალა, რომელთაგან თითოოროლა თუ შემორჩა ჩვენს გონებას – საქმით, სადი პოლიტიკით, მსოფლიოს საკითხების ღრმა წვდომით.

მართალია რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, როდესაც ამბობს, რომ ამერიკელები ძლიერები და ნიჭიერები არიან, ცოდნისა და პოლიტიკური ალღოს დეფიციტის მქონე პრეზიდენტებსა და კონგრესმენებს რომ იტანენ. ტრუმენიდან დაწყებული დღემდე, მათთვის იოლია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რასაც 1945 წელს ჰქონდა ადგილი იაპონიასთან მიმართებაში – ბირთვული იარაღით ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა. დღემდე ოფიციალურ ვაშინგტონს ბოდიში არ მოუხდია. პირიქით, მსოფლიოს არწმუნებს, რომ ბირთვული ბომბების გამოუყენებლობის შემთხვევაში ომში გაცილებით მეტი ადამიანი დაიღუპებოდა.

აშშ-ს პოლიტიკამ საკუთარი ხალხი და მსოფლიო დაარწმუნეს ამ ძნელად დასაჯერებელ ზღაპარში – გამუდმებული მედიაშეტევით ხალხთა გონებაზე. ბირთვული ბომბების გამოყენების აუცილებლობაში აშშ-ს ადმინისტრაციამ სათანადოდ იმუშავა და ხალხს მტვერი შეაყარა თვალში.

ანალოგიურს ცდილობს დღესაც – ჩრდილო კორეასთან მიმართებაში. სისტემატურად ვისმენთ ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების, ექსპერტებისა და მედიის წარმომადგენლების განცხადებებს, ჩრდილო კორეის მოსარჯულებლად ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე.

როდესაც სენატორი ლინდსი გრემი მოუწოდებს პრეზიდენტს ბირთვული ბომბებით გაანადგუროს ჩრდილო კორეის ბირთვული ლაბორატორიები, რათა თავიდან იქნას აშორებული კორეული საფრთხე და თან იმასაც ამატებს, რომ ასეთი თავდასხმით აშშ-ს არაფერი დაუშავდება, ვინაიდან შორსაა, თავისთავად მეტყველებს მოწოდების ბარბაროსულობაზე.

არც გრემი და არც სხვა სენატორი, კონგრესმენი ანგარიშს არ უწევს, რა მოჰყვება ბირთვულ თავდასხმას. ჩინეთის, რუსეთის, ზოგიერთი სხვა ქვეყნის ლიდერის განცხადებით, ბირთვულ თავდასხმას, შესაძლოა ფართომასშტაბიანი ბირთვული ომი მოჰყვეს. ნათქვამია, რისკი კეთილშობილური საქმეაო, მაგრამ ეს გამოთქმა არ განეკუთვნება ბირთვული დაპირისპირების პერიპეტიებს, სადაც რისკი ისეთივე დამანგრეველი იქნება თავდასხმის ობიექტებზე, როგორც თავდასხმელზე.

ჩინეთ-რუსეთი კატეგორიულად მოითხოვენ აშშ-ს და მისი მოკავშირეებისგან საკამათო საკითხების მოსალაპარაკებელ მაგიდასთან გადაწყვეტას. სულ ახლახანს, ვლადივოსტოკის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში რუსეთის პრეზიდენტმა დაწვრილებით ისაუბრა საშინელებაზე, რომელიც აშშ-ს მიერ ჩრდილო კორეაზე ბირთვულ თავდასხმას შეიძლება მოჰყვეს.

ვუბრუნდები იმ ექსპერტის სიტყვებს, წერილის თავში რომ მოვიყვანე – რომ არ ყოფილიყო აშშ-ი, არ იქნებოდა პერმანენტული დაძაბულობა არც კორეის ნახევარკუნძულზე, არც უკრაინაში, არც ახლო აღმოსავლეთში და არც სხვაგან. ყველა ცხელი წერტილი ან აშშ-ს მეცადინეობით არის შექმნილი ან მისი მოკავშირის, თვით ამერიკელთა წაქეზებით.

რა მიზანს ისახავს ასეთი ძირგამომთხრელი პოლიტიკა?

საკუთარი პოზიციების განმტკიცებას, მსოფლიოს პირველობის შენარჩუნებას, თუმცა არც სამხედრო ძალით, არც ფინანსებით და არც მედიის ფალსიფიცირებული სიუჟეტებით არის შესაძლებელი ერთმმართველობის შენარჩუნება. აშშ-ი უკვე ზურგში გრძნობს ჩინეთის სუნთქვას, რომელიც პირველ ეკონომიკად არის აღიარებული; რუსეთის მზარდ სამხედრო ძალას, სხვა ქვეყნების შეუპოვრობას. ყველა ისინი მრავალპოლუსიანობის მოწოდებით გამოდიან. განა ამის დამადასტურებელი არ არის სულ ახლახანს ჩინეთში გამართული „ბრიქსის“ სამიტი.

ამ ორგანიზაციაში ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა გაერთიანებული. ორგანიზაცია საერთო ეროვნული პროდუქტის წარმოებით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. მას არ სურს ამერიკული ჰეგომონიზმის უღლის დადგმა – მას თანაბარი ურთიერთობები სურს. აშშ-ს ძნელია ამასთან შეგუება, მაგრამ მეტი რა გზაა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპება ამერიკაც და მსოფლიოც. რისკი ამ ვითარებაში – სიბეცეა, მაგრამ ითავისებს ამას აშშ-ს პოლიტიკა?

სავალალო მაგალითებიდან გამომდინარე – ვერ ითავისებს, პირიქით, მოპოვებულის შენარჩუნების მიზნით დაუშვებელ, უკანონო ხერხსაც მიმართავს, რაც დამტკიცდა აშშ-ში რუსეთის საკონსულო სამსახურების კუთვნილი შენობების ოკუპაციით, ჩხრეკვით და სხვა, დიპლომატისთვის მიუღებელი მეთოდების გამოყენებით.

აშშ-ს პოლიტიკა თავხედურად აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართალი ის არის და არა რომელიმე კონვენცია ან ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულება. ვენის 1961 წლის კონვენცია: „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ – მკაფიოდ აღნიშნავს შემდეგს (მუხლი 22):

„1) წარმომადგენლობათა შენობები ხელშეუხებელია. იმ სახელმწიფო მეთაურებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ შეუძლია იქ შესვლა წარმომადგენლობის ნებართვის გარეშე.

2) სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, სპეციალური მოვალეობა აკისრია. ყველა საჭირო ზომა მიიღოს წარმომადგენლობის შენობის დაცვისთვის ყოველგვარი შეჭრისგან და ზიანის მიყენებისგან და წარმომადგენლობის სიმშვიდის დარღვევის ან მისი ღირსების შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით.

3) წარმომადგენლობის ავეჯზე, შენობებზე, მათში არსებულ ქონებაზე და აგრეთვე წარმომადგენლობის გადაადგილების საშუალებებზე ვრცელდება ჩხრეკის, რეკვიზიციის, დაპატიმრებისა და აღმასრულებელ მოქმედებათა იმუნიტეტი.“

აშშ-ს ადმინისტრაციამ ვერ დაიცვა ვენის კონვენციის ვერც ერთი ზემოთქმული წესი, ოკუპაცია მოახდინა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობების, რითაც უხეშად დაარღვია მსოფლიო დიპლომატიის კონსტიტუცია – „ვენის კონვენცია“. ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოიხადოს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი დაუმტკიცებელს ამტკიცებს – ვენის კონვენცია არ დაგვირღვევიაო. ასეთთან ძნელია ლაპარაკი.

აშშ-ი არის ქვეყანა, რომელიც არაფრად აგდებს კანონს, საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო სარბიელზე აღიარებულ წესებს. რით არის ეს გამოწვეული?

მარტივი ახსნა შეიძლება მოუძებნო ამას. როგორც ჩანს მოახლოვდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანობით შეცვლა. ამ პროცესს პირველი ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა, რაც თავისთავად იწვევს გაღიზიანებას და მომაკვდავისგან კუდის მოქნევას. პროცესი არცთუ ხანმოკლე იქნება, რაც თავისთავად მიანიშნებს ყველას, რომ აგონიაში მყოფი ქვეყნისგან არაერთი მიუღებელი ქმედება იქნება მოსალოდნელი – საფრთხის შემცველი, დასაფიქრებელი. უნდა ვიმედოვნოთ, რომ დიდი ქვეყნები ჯეროვნად შეაფასებენ ვითარებას და ხელს შეუწყობენ მსოფლიოს მშვიდობიან ტრანსფორმაციას.

ჭ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲔᲡ! ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

“მთაწმინდის პანთეონში ვანდალებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული გმირის – ზვიად გამსახურდიას საფლავი დაარბიეს!“, – შესაბამის ინფორმაციას მანანა არჩვაძე გამსახურდია სოციალური ქსელის პირად გვერდზე ავრცელებს:

”ვანდალები და დამკვეთები სასტიკად უნდა დაისაჯონ!

მთაწმინდის პანთეონში ვანდალებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული გმირის – ზვიად გამსახურდიას საფლავი დაარბიეს!

“უკვე მერამდენედ მოხდა ვანდალური ფაქტი: მთაწმინდის პანთეონში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას საფლავი კვლავ დაარბიეს:

მოთხრილია და გადაყრილია ყვავილები, დამტვრეულია დიდი ლარნაკები, თვით საფლავის ჯვარიც კი აღარ დაგვხვდა ადგილზე და ბოლოს, დიდი ძებნის შემდეგ ვიპოვეთ უდიერად გადაგდებული.

ბატონი ზვიადის საფლავიდან სისტემატურად იღებენ ყვავილებს და გადააქვთ სხვადასხვა საფლავებზე.

და ეს ხდება სად? მთაწმინდის პანთეონში, რომელსაც ჰყავს დაცვის სამსახური, რომელიც უნდა აკონტროლებდეს მთელ პერიმეტრს! ხოლო პანთეონის დირექტორი გახლავთ მარინა დავითაშვილი – პროტოდიაკონ დიმიტრი დავითაშვილის და (რომელიც თავისი მომხიბვლელი ბარიტონით კითხულობს ხოლმე საადდგომო ეპისტოლეებს) ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას დევნა კვლავ გრძელდება – უკვე მისი განსასვენებლის დარბევითა და შეურაცხყოფით”, – წერს სოციალურ ქსელში პირველი პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

აღნიშნულ ინფორმაციას ჟურნალისტი გიორგი გიგაური ეხმაურება:

”ვიღაცას ძალიან სურს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერა! მოვუწოდებ ხელისუფლებას, სასწრაფოდ გამოიძიოს ეს საქმე და კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯოს ვანდალები და დამკვეთები! ზვიად გამსახურდიას საფლავშიც კი ებრძვიან საქართველოს მტრები, რადგან აშინებთ ქართული ეროვნული სულის აღზევება!

დიახაც, უნდა გეშინოდეთ და ძრწოდეთ, რადგან თქვენი აღსასრული ახლოვდება!”, – წერს გიორგი გიგაური.

ეროვნული ინფორმაცია

სად შეიძლება თამარ მეფის საფლავის მოძიება?

***საქართველოში ბევრი თქმულება არსებობს თამარ მეფის დაკრძალვისა და საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ. საისტორიო წყაროები კი ერთხმად მიუთითებენ, რომ თამარი გელათში დაკრძალეს. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ისტორიკოსი* მანანა ხომერიკი.**

— „აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“ („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“, ქართლის ცხოვრება). **„მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამამთავარნი და მეფენი. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, „ქართლის ცხოვრება“)**. თამარ მეფის გელათში დაკრძალვაზე მიუთითებენ ასევე ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბაგრატიონი და თეიმურაზ ბაგრატიონი.

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში დაკონკრეტდა თამარ მეფის სამარხის ადგილი – გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მინაშენი, რომელსაც „თამარ მეფის ეკვდარს“ უწოდებენ. დავით მიტროპოლიტს ანდრია მურავიოვისთვის უთქვამს, ამ ეკვდარში სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის დრომდე, ყოველწლიურად, თამარის ხსენების დღეს, ახდიდნენ მის საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენო. 1730 წელს, იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მეხუთემ, ამ ეკვდერში თავისი პირველი მეუღლე მარიამ ბეჟანის ასული დადიანი დაკრძალა. ისე გამოდის, თითქოს მან თამარ მეფის საფლავი მიითვისა. ერთ გელათურ სიგელში ალექსანდრე მეხუთე აცხადებს: **„იყვნენ მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეგვტერი დავიწყებული ჟამთა ვითარებისგან არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვლე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელ-ვყავ გაშენებად და შემკობად მისა. წილი წლით ვიგდეთ სახელსა ზედა ღმრთისათა და წმიდათა მისთა ზედა, თუ რომლისა არს და აღმოვიდა სახელი სიმხნისა მოსახელისა ანდრია პირველ-გამორჩეულისა. და ფრიად მთნდა ეს და მოვიმოწმეთ აფხაზეთის კათოლიკოზი გრიგოლ და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და აღვაგებინე საკურთხეველი სახლსა ზედა ანდრიას მოციქულისასა დამყარებითა ხელთა მათთა თანა და მუნვე მივიღეთ დედოფალი კურთხეული, მეუღლე ჩემი, საუკუნოდ მოსახსენებლად“**. ესე იგი, ეკვდერი მივიწყებული ყოფილა, წილი უყრიათ და ანდრია პირველწოდებულის სახელი ამოსულა, რის გამოც ალექსანდრე მეფემ ააგებინა **„საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია პირველწოდებულისა“...**

მკვლევართა ნაწილს ალექსანდრეს გულწრფელობაში ეჭვი ეპარება. ივანე ლოლაშვილი აცხადებს, რომ მეფემ შექმნა „ყალბი დოკუმენტი“, თითქოს ეს ეკვდერი ძველთაგან დავიწყებული იყო. თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ალექსანდრე მეფის განზრახვას მხარს უჭერდნენ მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი, ნუთუ ყველამ უდალატა მეფეთ-მეფე თამარის ხსოვნას. ან იქნებ, ეკვდერი იმ დროისთვის ცარიელი იყო?!

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ დოკუმენტურ მასალაში აღმოჩნდა ფრანგი ჯვაროსნის – დე ბუას წერილი, რომელიც თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენებას შეეხება. ამ დოკუმენტის ქართული თარგმანი 1929 წელს ზურაბ ავალიშვილმა გამოაქვეყნა პარიზში, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მას თავად არ სჯეროდა რაინდის მონათხრობის ჭეშმარიტებისა. ფრანგი რაინდი ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამადე დე ტრემლეს ატყობინებდა: **„გავიგეთ და სანდო მაცნეთა წყალობით ჭეშმარიტად მივითვალეთ, რომ ვიღაც ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაც გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მეომრით უშიშრად აღსდგენ ურწმუნოთა წინააღმდეგ. მათი თექვსმეტი წლის მეფე მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) შემართებითა და მოკრძალებით, რწმენით კი – არა. ამ ახალგაზრდას მოაქვს დედამისის – უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა, იერუსალიმში წასულიყო და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად“**. წერილი უთარიღოა, მაგრამ ცნობილია, რომ ამადე დე ტრემლეი ბეზანსონის არქიეპისკოპოსად იჯდა 1195-1220 წლებში, ესე იგი, წერილიც ამ ქრონოლოგიურ ფარგლებში უნდა იყოს დაწერილი.

— სარწმუნოდ მიაჩნიათ მკვლევრებს თამარ მეფის გელათიდან გადასვენების ვერსია?

— მკვლევართა ერთმა ნაწილმა სარწმუნოდ მიიჩნია თამარ მეფის გელათიდან იერუსალიმში გადასვენების ვერსია, მეორე ნაწილმა კი უარყო. პირველად 1940 წელს სარგის კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფრანგი რაინდის ცნობა სანდოა და გელათიდან თამარ მეფის გადასვენების შემდეგ მისი აკლდამა დიდი ხნის განმავლობაში ცარიელი ყოფილა.

დღეს დარწმუნებით ვერ ამბობენ, გათხარა თუ არა ექვთიმე თაყაიშვილმა თამარ მეფის საფლავი. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— რაინდის წერილის შესახებ არაფერი იცოდა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც 1920 წლის ივლისში ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად გელათში არქეოლოგიური გათხრები აწარმოა. სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე მითითებული იყო 1919 წელი, არადა, ხელნაწერთა ინსტიტუტში ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში დაცულ შავ ჩანაწერს აწერია: **„გელათი, 1920 წელი. 26 ივლისი“**. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებულ გათხრებთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ არქივში მივაკვლიე დოკუმენტს, რომელიც ამ გათხრებში კორნელი კეკელიძის მონაწილეობაზეც მეტყველებს. 1920 წლის 17 ივლისს, საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს თავისი ხაზინდარებისთვის დაუვალებია დეკანოზ კორნელი კეკელიძისთვის ხუთი ათასი მანეთის მიცემა **„თამარ მეფის საფლავის გასამშვენიერებლად“**. ექვთიმე თაყაიშვილმა ცხრა დღის შემდეგ დაიწყო გათხრები. სიტყვა **„გამშვენიერება“** ალბათ, შენიღბულად **„საფლავის გათხრას“** ნიშნავს, რისი აშკარად თქმაც სასულიერო პირებს არ სურდათ.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1920 წლის 18 ივლისს დიმიტრი შევარდნაძისთვის გაგზავნილი ბარათიდან ირკვევა, ქუთაისის მიტროპოლიტს, იქაურ სამიტროპოლიტო წევრის თანდასწრებით **„ცნობისმოყვარეებისათვის ეგრეთ წოდებული თამარის საფლავი აეხადა, მაგრამ გამოკვლევა თავის თავზე ვეღარ ეკისრა და დაეხურა“**. ამის შემდეგ მიტროპოლიტს მეცნიერებისთვის უთხოვია დახმარება. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: **„მერე ჩვენ გვთხოვა, მოდით და გამოვიკვლიოთ. მოდის კომისია: მე, კეკელიძე, სამიტროპოლიტო საბჭოს წარმომადგენელი, ალექსანდრე ჯავახიშვილი (როგორც ანთროპოლოგი) და შენ გთხოვთ, როგორც სამხატვრო საზოგადოების წარმომადგენელს და მხატვარს, უსათუოდ მონაწილეობა მიიღო შენებრ ენერგიული. საფლავს, როდესაც ავხდით, ყველაფერი ისე უნდა ჩაიხატოს, როგორც გამოჩნდება და ამის მასალაც უნდა წამოიღოთ“.**

— როგორი იყო საფლავის გათხრით მიღებული შედეგი?

— თამარის საფლავად მიჩნეულ სამარხში თამარ მეფის ნაცვლად, სხვა ოთხი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული. აქედან ერთი ქალია (ალექსანდრე მეფის მეუღლე უნდა იყოს), ორი – ახალგაზრდა მამაკაცი და ერთი – ბავშვი. ლოლაშვილი წერს: **„მოსაზრება, თითქოს ალექსანდრე მეფემ თავისი მეუღლე დამარხა თამარ მეფის ნასაფლავარში, აქ გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა** (იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერები, – მ.ხ.) **დასტურდება. ექვთიმე თაყაიშვილს არ გაუხსნია თამარ მეფის საფლავი, იგი საძიებელია სხვა ადგილას, მისსავე ეკვდერში“**. ჩვენ არ ვიცით, როგორ დაადგინა ლოლაშვილმა, რომ გახსნილი სამარხი თამარ მეფის **„ნასაფლავარი“** არ იყო. თამარის გადასვენების შემთხვევაში მის **„ნასაფლავარში“** ხომ არავითარი კვალი არ დარჩებოდა. მხოლოდ გადასვენების შემდეგ დაცარიელებულ სამარხში იქნებოდა შესაძლებელი ორი მამაკაცის, ბავშვისა და, ბოლოს ალექსანდრე მეფის მეუღლის დაკრძალვა. ალექსანდრეს რომ თამარის ძვლები შეეწუხებინა, გათხრისას ორი ქალის ნეშტი აღმოჩნდებოდა. ხოლო თუ ექვთიმე თაყაიშვილს შეცდომით თამარის საფლავი არ გაუხსნია, ეს ნიშნავს იმას, რომ არც ალექსანდრე მეფე შეხებია მეფის საფლავს და, როგორც ლოლაშვილი წერს, **„იგი საძიებელია სხვა ადგილას მისსავე ეკვდარში“**.

1887 წელს თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა გელათის მონასტრის მეცამეტე საუკუნის სიგელი, რომელიც გაცემულია 1260-იან წლებში. ამ საბუთში სხვა **„მწირველებთან“** ერთად მოხსენიებულია **„თამარის მწირველიც“**. ბაბილინა ლომინაძემ განმარტა ამ საეკლესიო ტერმინის მნიშვნელობა: **„მწირველი“** ეწოდება საეკლესიო პირს, რომელსაც ევალებოდა მეფეთა და დიდებულთა საძვალის მოვლა-პატრონობა, მათი სულის მოსახსენიებელი წირვის შესრულება და სხვა. აღნიშნულ წლებში კი გელათის მონასტერში თამარ მეფის მწირველი ყოფილა დადგენილი. ამ ფაქტზე დაყრდნობით ბაბილინა ლომინაძე ასკვნის, რომ **„თამარ მეფის ნეშტი არსად გადატანილი არ არის“**. ეს დასკვნა ლოგიკური ჩანს, მაგრამ თამარ მეფის გადასვენების შემთხვევაში, მწირველი ხომ ძველებურად გააგრძელებდა მისი სულის მოხსენიებას და თუნდაც ცარიელი საფლავის მოვლას?! ბაბილინა ლომინაძე წერს, რომ დროთა განმავლობაში **„თამარის სამწირველო მწირველიც მოიშალა – გაუქმდა (ამავე** დროს, არ შემოგვრჩა რამე მატერიალური ნიშანი – მისი საფლავის მაუწყებელი). **აი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ვიცით დღეს ლოკალური მინიშნებით თამარ მეფის საფლავი გელათში“.**

ჩვენი აზრით, თუ თამარ მეფის გადასვენების ვერსიას სარწმუნოდ მივიჩნევთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საიდუმლოდ მოხდა მონღოლების შემოსევის წინ. ეს ფაქტი საქართველოში არ გახმაურებულა და ქართველ ისტორიკოსს – ვახუშტი ბატონიშვილს, ნიკო დადიანსა და სხვებს, არაფერი სმენიათ მის შესახებ. ყველა ერთხმად მიუთითებდა, რომ თამარ მეფე გელათში განისვენებს. ბერძენი არქეოლოგი ათანასიოს იკონოპულოსი დარწმუნებული იყო, რომ თამარ მეფის საფლავს მიაკვლია. ჯვრის მონასტრის ნეკროპოლის საფლავში მოთავსებული ყოფილა ორი მანდილოსნის ნეშტი. სამარხის გახსნისას იკონოპულოსს სურათი გადაუღია, რომელზეც გარკვევით ჩანს, რომ ამ ორი მიცვალებულის ძვლები საფლავში ბუნებრივად განლაგებული კი არ არის, არამედ არეულ-დარეულია, თითქოსდა იმის საბუთად, რომ ისინი საიდანღაც გადმოსვენებულებს ეკუთვნით. არსებობს ერთი დოკუმენტი, რომელიც, როგორც მიიჩნევა, სრულიად აბათილებს თამარ მეფის გელათიდან გადასვენების ვერსიას: რუსუდან დედოფალმა რომის პაპ ჰონორიუს მესამეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც თამარ მეფის გადასვენების შესახებ არაფერია ნათქვამი. დედოფალი პაპს ატყობინებდა: **„ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მერგო. აწ ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანისთვის. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში.“**

თუ კარგად დაუკვირდებით, ფრანგი ჯვაროსნისა და რუსუდან მეფის წერილები ერთმანეთს არ აბათილებენ, არამედ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფაქტის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას:

1. ფრანგი რაინდი გვამცნობს, რომ ახალგაზრდა ქართველი მეფე თავისი დედის თამარ მეფის ძვლებს იერუსალიმში მიასვენებდა. ცხადია, რომ ლაშა-გიორგი ამას რომის პაპის რჩევის გარეშე აკეთებდა.

2. რუსუდან დედოფლის წერილიდან ვიგებთ, რომ რომის პაპს ლაშა-გიორგისთვის „ქრისტიანობის შესაწევნელად“ წასვლა ურჩევია, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა თამარ მეფის გადასვენებასთან. ამასთან, ლაშა-გიორგის მზადება დაუწყია, მაგრამ ვეღარ წასულა.

ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი) წერს ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ კვიპროსზე ქართული ეკლესიის კვალი ჯერ კიდევ მეცხრემეათე საუკუნეებში ჩანს. ქართველებს აუგიათ მონასტერი, რომელიც მოგვიანებით თამარ მეფეს გაუმშვენიერებია. დღეს ეს სავანე ნანგრევებად არის ქცეული, მონასტრის ტერიტორია კი სულ გადათხრილია. გადმოცემით, აქ მდიდარი ქართველი ქალბატონი ყოფილა დაკრძალული და მძარცველები განძს ეძებდნენ. ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი იშველიებს ჯვაროსანი რაინდის წერილს და ასეთ დასკვნამდე მიდის: **„იერუსალიმში მიმავალ მეფეს აუცილებლად კვიპროსი უნდა გაევლო. ამრიგად, სრულიად შესაძლებელია, რომ თამარმა განსასვენებელი თავისსავე აშენებულ და გამშვენებულ მონასტერში ჰპოვა“.**

სრულ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას ვერავინ განაცხადებს, მაგრამ ყველაზე საეჭვო ის ვერსიაა, რომლის თანახმადაც თამარის საფლავი შეიძლება, გელათის ტაძრის ეზოში აღმოჩნდეს. დიდებულ თამარ მეფეს ეზოში დაკრძალვას არავინ აკადრებდა.

მანანა ხომერიკი

სახელწოდება “სენაკის” საკითხის გარკვევისთვის

რომელია სწორი გამოთქმა, სანაკი თუ სენაკი? ამბობენ, რომ სენაკი ბერების, მონაზვნებისა და განდეგილთა სამწყოს აღნიშნავს, იგივე მცირე სახლ-კარსო.

არსებობს სხვა მოსაზრებაც.

ზემოთხსენებული თვალსაზრისით ძველ სენაკსა და მის ახლომდებარე მიდამოებში ბერ-მონაზვნების საცხოვრებელ-სამოღვაწეო ადგილი იყო და ამიტომ შეარქვესო ეს სახელი სოფელს, რომელსაც დღეს **“ძველი სენაკი ქვია.”**

სწავლულთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ უფრო სწორი ხომ არ არის გამოთქმა სანაკი, რომელსაც ოდითგან და დღესაც აქტიურად ხმარობს მოსახლეობა, როცა მეგრულად მიუთითებენ. **„მეურქ სანაკიშა“** – მივდივარ სანაკშიო, ან **„ამდღა სანაკის ვორდი“** – დღეს სანაკში ვიყავი. და ასე შემდეგ.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც მე-17 საუკუნეში სამეგრელოში 18 წელი ცხოვრობდა მთავარ ლევან დადიანის კარზე, ეყრდნობა მე-2 საუკუნის ცნობილი ბერძენი მოგზაურის ფლავიუს არიანეს წიგნს **„მოგზაურობა შავი ზღვის ირგვლივ“** და აცხადებს, რომ არიანეს მიაჩნია, რომ მდინარე ტეხურს ადრე ეწოდებოდა **„სინგამე“** და ადვილი შესაძლებელია გამოთქმამ გარკვეული სახეცვლილება მიიღო და ჩამოყალიბდა, როგორც **„სინგაპი“**, ან **„სინაპი“** და ბოლოს მივიღეთ სახელწოდება სენაკი, რომელიც სოფელს დაუმკვიდრდაო (იგულისხმება ძველი სენაკი).

ეს მინიშნება გახლავთ ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო. ამიტომ ჩავატარეთ მოკვლევა თუ რომელ მდინარეს უწოდებს არიანე **„სინგამეს“**? ბერძენი მოგზაურის ზემოთ აღნიშნული წიგნი განხილული აქვს არა ერთ ქართველ მეცნიერს, მათ შორის კეჭაყმაძეს. მეცნიერ კეჭაყმაძეს მიაჩნია, რომ მოგზაურის მიერ ნახსენები მდინარე **„სინგამე“** არის არა ტეხური, არამედ კინტრიში ან ნატახტარის წყალი. ამ დასკვნას ის იმეორებს რამოდენიმეჯერ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კეთილმოსურნე იტალიელ მოგზაურს ლამბერტის მოუვიდა შეცდომა, როცა იგი მდინარე **„სინგამეს“** აიგივებს ტეხურთან!

მე-2 საუკუნეში ნაკლებად სავარაუდოა, რომ სახელწოდება სენაკით დასახელებული ადგილი არსებულიყო. რადგან, ისტორიულ წყაროებში სოფლის დასახელება **„სენაკი“** გვხვდება მხოლოდ 12-ე, 13-ე საუკუნეებიდან.

მკვლევარი, ბ. ძაგანია საკუთარ წიგნში არაერთგზის აღნიშნავს სენაკს და წერს რომ **„ეს ცენტრი დიდი ხნის წინათ მდებარეობდა სამეგრელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, სადაც ერთმანეთს სჭრიდა არგუეთიდან კილასორისაკენ და ფოთიდან მარტვილისაკენ მიმავალი გზები. აქ ჯერ კიდევ მე-12-მე-13 საუკუნეშიც კი იყო მგზავრთა მოსასვენი ჯიხური და ნაგებობანი. იგი იყო ამ გზაზე ერთ-ერთი საფორტიფიკაციო ცენტრი. გვიან მე-17-მე-18 საუკუნეებშიც ამ ცენტს არ დაუკარგავს მნიშვნელობა. აქ მე-17 საუკუნეში მისიონერთა სამყოფი ბინებიც კია აღნიშნული კასტელის რუკაზე. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ამ ადგილას (ძველი სენაკი): საშუალო საუკუნეში ბერებს ეკლესიასთან მცირე ქოხები, სამარტვილო ოთახები, სენაკები მოუწყვიათ და შიგ ცხოვრობდნენ თურმე, აქვე მათ ჰქონიათ სტუმართა მოსასვენი ასეთივე ქოხები, აქედან დაერქვა „სენაკი“.**

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ლიტერატორმა ომარ ხუხუამ. მას მიაჩნია, რომ ძველი, თავდაპირველი ფორმით უნდა იყოს **„სანაკი“** და არა **„სენაკი“** და იგი ამჟამინდელ **„ძველ სენაკს“** აღნიშნავდა, რასაც ადგილობრივები ასე წარმოსთქვამდნენ **„ჯვეში სანაკი“**. სანაკი კოლხური სიტყვაა და შორეული ფესვებით სანებს ანუ ზანებს (ე. ი. მეგრელებს) უკავშირდება“

ო. ხუხუას აზრს იზიარებს პროფესორი ჟორა სორდია. ის აღნიშნავს, რომ ვფიქრობ ო. ხუხუას ეს მოსაზრება უთოდ ანგარიშგასაწევიაო, რადგან **„სენაკს“** მეგრელები ადრე მართლაც **„სანაკს“** ეძახდნენ, რაც ტოპონიმიკის არც ერთი მკვლევარისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. მე-5 საუკუნეში სენაკები ცალკეც, სახლის გარეთაც იყო აგებული. აი, ერთი ადგილი შუშანიკის მარტვილობიდან: **„მოვიდა... შუშანიკ მახლობლად... ეკლესიასა და იძია მცირედი სენაკი და მუნ დაეყუდა”**. დროთა ვითარებაში ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობა შეიძინა: უკვე მე-11-12 საუკუნეებიდან მხოლოდ ბერების საცხოვრებელ ოთახს ერქვა წმ. ილია (ჭავჭავაძე) მართალის განდეგილში მრავალგზის ვხვდებით **„სენაკს“** ბერების (განდეგილების) საცხოვრებელ ოთახის მნიშვნელობით.

ბატონი ჟ. სორდია ასევე აღნიშნავს, რომ **„უკვე მე-19 ს. დამდეგს შეიქმნა მეცნიერული დისციპლინა, რომელიც ტოპონიმიკის სახელწოდებითაა ცნობილი. ტოპონიმკა შეისწავლის გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობასა და მნიშვნელობას. ტოპონიმკა მნიშვნელოვანწილად ემყარება ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაცემებსაც, მაგრამ ისე, რომ საკითხთა კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ კანონზომიერები (და არა შემთხვევითობის ამსახველი ფაქტები) ამ კანონზომიერებაზე დაყრდნობით აღვნიშნავ, რომ სენაკი, როგორც გეოგრაფიული (ადგილმდებარეობის, ანუ ტოპონიმის სახელწოდება, საკუთარ სახელადაა ქცეული, ამას იმიტომ ვამბობ, რომ იგი როგორც ადგილმდებარეობის სახელდება მომდინარეობს საზოგადო სახელიდან „სენაკი რომელიც ბერთა (მწირთა, ასკეტთა განდეგილთა) საცხოვრებელი ოთახი იყო. “გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ერთადერთი სწორი დაწერილობაა “სენაკი“** – ასკვნის ავტორი.

მოდით, განვიხილოთ მოსაზრება, სახელწოდება სენაკი ხომ არ მომდინარეობს ძველ კოლხური ტომების **„სანი“** ან **„ზანი“**-დან. (ძვ. წ. 1 საუ. და ახ. 2 საუკ.) მიჯნაზე მოდვაწე სწავლულები: სტრაბონი, პლინიუს უფროსი, ფლავიუს არიანე და სხვები აღნიშნავენ, რომ სანები ცხოვრობენ ზღვისპირა ზოლის გარდა, მთის რაიონებშიც. პლინიუს უფროსი აკონკრეტებს და მიუთითებს უფრო ზუსტ ადგილს. სანებს იხსენიებს კოლხეთის სანაპიროს სხვა ადგილებში და განსაკუთრებით მდინარე ქარიენტ-ცივის მიდამოებში.

ყურადღება მიაქციეთ?!. სანები კოლხეთის ზღვის სანაპიროს გარდა ცხოვრობდნენ სხვა ადგილებში და მათ შორის, მდინარე ქარიენტ-ცივის მიდამოებშიო.

ქარიენტი ალბათ სოფელი ქარიატაა, რომელიც ჩვენს მეზობლად, ხობის რაიონის შემადგენლობაშია, ხოლო მდინარე ცივი მიედინება ქალაქ სენაკის დასავლეთით. აქედან გამომდინარე, თუ ჩავთვლით, რომ სანებით იყო დასახლებული სამეგრელოს ბარისა და მთის ადგილები, ქარიატა და მდინარე ცივის მიდამოები, მაშინ სახელწოდება **„სანაკი“** ზუსტად ესადაგება ტომის განსახლების სახელწოდებას.

სახელოვანი მკვლევარი და მეცნიერი არ, ჩიქობავას ვარაუდით **„სანი“** იგივეა, რაც მეგრელთა საერთო სატომო სახელი **„ზანი“** ხოლო პროფესორ სიმონ ჯანაშიას მტკიცებით **“ბერძნულ-რომაულ”** სანნ-ში თავკიდური ბგერა სწორედ ს-დან უნდა იკითხებოდეს. მისი აზრით **„სანი“** ამოსავალი ფორმაა, რომლისაგან შემდგომში, როგორც საკუთარი სატომო სახელები, ჩამოყალიბდა ჩრდილოელ კოლხეთისთვის **„ზანი“,** ხოლო სამხრეთ კოლხებისთვის **„სანი“**.

მოდით, უფრო გვიანდელი ჟამის მკვლევარ-მეცნიერს ევსევი კესარიელს (მე-4 საუკ) მოვუსმინოთ: მისი ცნობით **„სანი“** იგივეა, რაც **„სანიკი“**, **„სანიგი“**. ცნობილი ისტორიკოსი კესარიელი ამ დასკვნას უსაფუძვლოდ, არაფერზე დაყრდნობით არ დაწერდა. თუ ვერწმუნებით, მაშინ უნდა დავუშვათ ვარაუდი, ადგილმდებარეობის სახელწოდება მდინარე ქარიეტ-ცივის მიდამოებში მცხოვრები **„სანები“** იგივე **„სანიკი“** ან **„სანიგი“**-დან მომდინარეობს.

ახლა ვნახოთ, ვინ იყვნენ ზანები. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ზანები შავი ზღვისპირეთში იმ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რომელიც მოიცავს დღევანდელ სამეგრელოს. ამას მოწმობს უძველესი რუქები, რომელიც შედგენილია მოგზაურთა და მკვლევართა მიერ. ადვილი შესაძლებელია ჩვენი რაიონის შემადგენლობაში შემავალი სოფელი ზანა სწორედ ჩვენი წინაპრების ზანების სახელის მატარებელი იყოს? და თუ დავუშვებთ ვარაუდს, რომელსაც ცნობილი ისტორიკოს-მკვლევარი ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ **„სანები“** და **„ზანები“** ტომობრივი სახელწოდებებია და ერთიდაიმავე ტომის აღმნიშვნელიო, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ შესაძლებელია ძველი ტომობრივი სახელწოდებები შეინარჩუნა სოფლებმა ზანამ და სანაკმა. (მხედველობაშია ძველი სენაკი).

რადგან ჩვენი წინაპრები მეგრულად ადრე და დღესაც ამბობდნენ და **„სანაკს“** და არა სენაკს .ეს ხომ არ მომდინარეობს ევსევ კესარიელის მითითებიდან? მან იხმარა პირველად სიტყვა **„სანიკი“** და **„სანიგი“** რომელმაც მიიღო სანაკის ფორმა და დღემდე ზეპირსიტყვიერად გამოთქვამს მოსახლეობა.?

ახლა განვიხილოთ, რომელი გამოთქმაა უფრო მიღებული: სანაკი თუ სენაკი? ზეპირსიტყვიერად მოსახლეობა ხმარობს სიტყვა სანაკი, მაგრამ წერილობით წყაროებში ფაქტობრივად ყველგან დაფიქსირებულია სენაკი. მაგ. ვალერიან გუნიას წიგნში **„საქართველოს კალენდარი“** გამოცემული 1892 წელს, ყველგან ნახმარია სიტყვა **“ახალი სენაკი,“** როგორც დაბა და **„ძველი სენაკი,“** როგორც სოფელი. მაგალითად: ახალი სენაკის ნოტარიუსია მელქისედექ ვერულაშვილი. (გვ-216) სენაკის მაზრაში ბლაღოჩინები არიან: თევდორე ხოშტარია, სიმონ ქავთარაძე, სიმონ ელიავა, ივანე ხუხუნი და სხვა (გვ-221). ამავე ავტორს სენაკი ნახსენები აქვს მრავალგზის და არსად სანაკი.

ასევეა ცნობილი მწერალი შალვა დადიანი ყველგან წერს სენაკი და არა სანაკი. თუ უფრო უკან დავიხევთ, ვნახავთ რომ 1840 წელს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მიერ მდივანბეგებისათვის შედგენილ ინსტრუქციაში მიუთითებულია, რომ მეორე კლასის მდივანბეგები განთავსებული იყვნენ ზუგდიდში, სენაკსა და ლეჩხუმის მაზრაში.

კორნელი ბოროზდინის წიგნში **„სამეგრელო და სვანეთი“** ყველგან ნახმარია გამოთქმა სენაკი. 1871 წლის სამიურატო მამულების აღწერაში დაფიქსირებულია სენაკი. ასევე რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს განხორციელებულ კომლობრივ აღწერაში სწერია სენაკის მაზრა.

კიდევ უფრო გვიანდელი მონაცემებში, იმერეთის მეფის, ალექსანდრე მე-5 ბრძანებით 1737 წელს შედგენილ რუქაზე აღნიშნულია **„სენაკები“** მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს არის დღევანდელი ძველი სენაკი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ადგილმდებარეობის სახელწოდება **„ზანა“** და **„სანაკი“** შესაძლებელია მომდინარეობდეს ადგილობრივთა ტომობრივი სახელწოდებიდან, თუმცა დღეს გამოყენებული ფორმა **„სენაკი“,** ვფიქრობ სწორია. თუმცა გამოთქმული ვარაუდი არ არის საბოლოო და ამომწურავი. ამ თემაზე საჭიროა აზრთა გაცვლა და რეალობაში მეტი სიცხადის შეტანა.

ბორის დავითაია,
მწერალი. აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

შეჯიბრება ვეტერანთა მონაწილეობით

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ სენაკში, რომელმაც არაერთი ღირსეული სპორტსმენი და მოქალაქე აღუზარდა სამშობლოს, სპორტი და ფიზიკური კულტურა აქაური ახალგაზრდებისა თუ ვეტერანების ჯანსაღი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. შორს წაგვიყვანს სენაკში გამოზრდილი სპორტსმენების ვინაობის დაკონკრეტება, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტული ცხოვრება ბევრად უფრო სასარგებლო და შთამბეჭდავია სოლიდური ასაკის მქონე ადამიანებისთვის. ამ მხრივ, ზოგადად, ბევრი რამ კეთდება ქვეყანაში, მაგრამ ღონისძიებებს, სამწუხაროდ, მასიური ხასიათი მაინც არა აქვს.

სენაკში, რაიონული გამგეობისა და საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით პირველად მოეწყო შეჯიბრება ვეტერანთა შორის მინიფეხბურთში, რომლის ორგანიზატორი გახლდათ არასამთავრობო იურიდიული პირის – სენაკის ვეტერანთა ორგანიზაციის კავშირი (თავმჯდომარე ბორის დავითაია, მოადგილე გურამ ადანაია).

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას იღებდა ოთხი გუნდი: შრომის ვეტერანები, აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანები, ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანები და ავღანეთის ბრძოლების მონაწილე ვეტერანები.

ვეტერანების სპორტულმა პაექრობამ რაიონის მოსახლეობაშიც გამოიწვია საკმაო ინტერესი. სპორტული ტურნირი ჩატარდა ორგანიზირებულად და სათანადო სპორტულ დონეზე. ვეტერან ფახბურთელთა პაექრობის გამარჯვებული გახდა აფხაზეთის ომის ვეტერანთა გუნდი (ხელმძღვანელი რეზო სურმავა) რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და დაწესებული პრიზები. მეორე ადგილი დაიკავეს შრომის ვეტერანებმა (ხელმძღვანელი რევაზ დავითაია), ხოლო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანთა გუნდმა (ხელმძღვანელი ნუგზარ ძაძამია).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადებული იქნა გურამ ჩიქობავა. ბომბარდირად კი აღიარეს მურად კუპრეიშვილი, საუკეთესო მეკარე გახდა რეზო ასმავა.

შეჯიბრებას კვალიფიციურად მსაჯობდა ანზორ ცაგურია.

აზა ბარუჩავა,
სენაკი

ილორი

ზუგდიდის თეატრი და თეატრის შენობა – მიტოვებული ქალაქის ისტორია

თეატრი ცხოვრების სარკეაო – უთქვამთ და ამ ნათქვამის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით თუ ზუგდიდის თეატრის შენობისთვის მოგიკრავთ თვალი ამ ბოლო ხანს.

დიახ! ზუგდიდის თეატრის შენობა ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ ზუსტად გამოხატავს ქვეყნის საზოგადოებრივი და სოციალური ძვრების ფონზე ქართული საზოგადოებრიობის გულგრილობას, რომელიც თანდათან მძაფრდება და ისეთ ბარბაროსულ სახეს იღებს, როგორც ამას ავლენს თეატრის შენობის ახლანდელი სახე. შენობა დანგრევის პირასაა მისული და მასთან ერთად შენობაში მოთავსებული უზარმაზარი შემოქმედებითი თუ ისტორიული მასალა ქალაქის ცხოვრებასთან ერთად სრულიად საქართველოს (და არა მარტო) ცხოვრებასაც, რომ ინახავს, გაქრობის პირასაა მისული, უამრავჯერ ითქვა ტელევიზიის სხვადასხვა არხებიდან, რადიოთი თუ პრესით, თუ თეატრის წარმომადგენლების უშუალოდ ერთი-ერთზე შეხვედრისას კულტურის სამინისტროს ვაი-წარმომადგენლებთან, რომ შენობას რესტავრაცია სჭირდება. იყო უცხოელი (თურქი) სპონსორის მოძიების მცდელობა (თუმცა თურქს თავისი კულტურის შემოტანა ამ ტერიტორიაზე უფრო მოსდის გუნებაში, ვიდრე ქართული კერის აღორძინება, ეს, ასე იყო ათადან-ბაბადან და დღესაც ასეა). ფაქტია, რომ თეატრის შენობა დღეს ისევ სავალალო მდგომარეობაშია და თეტრის დასი გაუსაძლის მდგომარეობაში ძლივს ახერხებს არსებობას (ფულს იხდის ყოველი წარმოდგენის გამართვისას კერძო საკუთრებაში არსებული კულტ-სახლის სცენაზე და იქვე ისევ კერძო პირს ჩამოჰყავს თბილისიდან სხვადასხვა თეატრალური თუ ესტრადის მომღერალი და წარმოდგენაზე 20 ლარად ჰყიდის ბილეთს. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო კულტ-ღონისძიებებისა ქალაქში, მხოლოდ მისი სწორად დაგეგმვის თაობაზე ვსაუბრობთ, რომელიც ხელს უშლის ქალაქის თეატრალური (და არა მარტო თეატრალური) კულტურის განვითარებას და წამოიჭრება კითხვა:

არ იციან ქალაქის პირველმა პირებმა არსებული მდგომარეობა ამ სფეროში? – იციან და როგორ იციან მერე, ყველაფერში თვითონ მონაწილეობენ, ვიწრო პარტიული ინტერესების ნაჭუჭში ჩაფლულნი და რა ქნან ქალაქის პირველმა პირებმა, როცა ქვეყანაში არსებული საერთო სიტუაციაა ისეთი მწარე რეალობა, ყოველივე ქართულისთვის და, მითუმეტეს, პროვინციული კულტურისთვის.

ის კი უნდა შევახსენო კულტურის ახლანდელ ვაი-მესვეურთ კულტურისთვის პროვინცია და პროვინციალიზმი არ არსებობს, კულტურა პროვინციაშიც კულტურაა და დედაქალაქშიც. გააჩნია ქვეყანას, როგორ იცავს ის თავის კულტურას და არ ეპუება მსოფლიო აგრესიულ ძალებს, ყოველივე ეროვნულის დასამხობად, რომ მოიწევს უდახვეწილესი ხრიკებით. ამისი მაგალითი ბევრი გვაქვს. მარტო ასობით იძულებით გარეკილი ქართველი საქართველოდან და ათასობით სიხარულით ჩამოსახლებული მუსლიმი (მარტყოფში, მანგლისში) ქართულ მიწაზე. მართლმადიდებლური ქალაქებისთვის სრულიად შეუფერებელი აფიშები და განცხადებები საქართველოს დედაქალაქში. ერთ-ერთი მათგანი ასე მოგვმართავს: **„დაგვირეკეთ რომ დაგეხმაროთ ოჯახში სექსუალური ძალადობის და თრეფიკინგის წინააღმდეგ“**. სად ნახა ამ რეკლამის დამწერმა ოჯახი, სადაც სექსუალური ძალადობა და თრეფიკინგია. მაშინ ხომ მას ოჯახი არ ჰქვია. გაუგებარია ხომ, დამერწმუნებით მკითხველო? ასევე გაუგებარია, რატომ არიან დაკავებული იუსტიციის სამინისტროში თურქი და სომეხი და სხვ. ეროვნების ადამიანებისთვის ქართული გვარ-სახელის საბუთების გაცემით. მათ, ალბათ, შეხსენება სჭირდებათ დიდი პოეტის აკ. წერეთლის პოემის **„დამურა“**. თაგუნამ ჩიტად გადაქცევა რომ ისურვა და დამურა გახდა. და ასეთი დამურები ისე მომრავლდა საქართველოში, ფეხს ვერ გადაადგამ. სომეხი რომ **„შერვაშიძეს“** დაიწერს გვარად პასპორტში და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ადგილს იყიდის, მერე რა უანგარო სახელმწიფო სამსახურზე უნდა ესაუბრო პარტიას, რომელიც თავის თავს მმართველ გუნდს ეძახის. ამნაირი სულის პერსონებისადა გამო სახელმწიფო სამინისტროები კერძო კორპორატიულ სახეს იღებს და იმის შიშიც კი არსებობს საყდრისივით არ ააფეთქონ ზუგდიდის თეატრი. საქციელი კი ევროპული კანონის შემოღებით გაამართლონ. არ მიწყინოთ და პიროვნული მტრობის სურვილს ნუ გააღვიძებთ თქვენში, როცა ამ სტატიას წაიკითხავთ ძვირფასო თანამდებობის პირნო, ვინც პასუხისმგებელი ხართ აქ მოთხრობილ გასაჭირზე.

იმედი რომ არ მქონდეს, რომ მხილების მათრახი, რასაც აქ ნახავთ არ გაგაღვიძებთ, არ დავწერდი, თანაც სამშობლოზე ფიქრი ისეთი გულწრფელი ფიქრია, ვერაფერზე გაყიდი, ვერაფერზე გაცვლი, ვერაფერს შედარებ ამ ქვეყნად... იქნებ შეგრჩათ სადღაც სამშობლოზე წმინდა ფიქრი, იქნებ გიორგი სააკაძის სულმა გააღვიძოს თქვენში ის გმირობა, რომელსაც თანამედროვეობის სენი – ქსელური მარკეტინგის (რომლის დევიზია: **„ჯერ მე მეშველოს და მერე ვუშველი სხვას“**) გზებით სიარული, სომხური ანგარიშიანობით ფულს რომ უმატებს ფულს და სულს კი კლავს და ყოველივე საზოგადო საქმის კეთების სურვილს აქრობს, არადა როგორ სჭირდება საქართველოს ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც საჯაროდ იტყოდა: **„მე ქართველი ვარ და ვაცხადებ: საქართველოში კლასები არ არსებობენ. საქართველო ქართველებისთვის უპირველეს ყოვლისა, რაც სხვა ერთა თანაარსებობას არ გამორიცხავს, თავის თავშივე გულისხმობს ინტერნაციონალიზმს“**.

მაშინ ხომ ზუგდიდის თეატრის შენობის საკითხზე ამდენი საუბარიც ზედმეტი იქნებოდა და მარტო ჩემი შემართება ეყოფოდა მის რესტავრაციას.

კიდევ ბევრი რამ მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ აქ უნდა შევჩერდე ძვირფასო მკითხველო და გულწრფელად თქვენთან გამხელილი ტკივილი საზოგადოდ ვაქციო, რათა ერთად შევძლოთ ამ თითქოს და პატარა საქმის მოგვარება – ზუგდიდის თეატრის შენობის რესტავრაციის დადებითად გადაწყვეტა. რაკი უიმედობა არასოდეს მჩვევია და ამ საკითხშიც იმედით ერთად დავდგეთ, რომ ქართულ ქალაქში ქართულმა თეატრმა იცოცხლოს და მისმა მნახველმა სიყვარულით გაიმეოროს დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: **“სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო”**.

მაია-დარეჯან ჯიქია,
ზუგდიდის თეატრის ყოფილი მსახიობი,
მწერალი, საზ. მოღვაწე

ოჰ, ტრისტან და ბესარიონ!

დარწმუნებული ვარ **„კომედი არხს“** ყოველდღიურად ათასობით ტელემაყურებელი უყურებს. ეს იუმორისტული გადაცემა ალბათ ყველას მოსწონს, რადგან უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს, მათ შორის მეც, მაგრამ ამას წინათ ტრისტანისა და ბესარიონის მიერ შესრულებულმა სკეტჩმა აღმაშფოთა!

ჩემი აღშფოთება და საპროტესტო განწყობა ტენდენციური და სუბიექტური რომ არ მოგეჩვენოთ, გადავწყვიტე დახმარებისათვის გაზეთს მივმართო. თუ დაბეჭდეს, ე.ი. მართალი ვარ! თუ არ დაბეჭდეს, მაშასადამე ცხოვრებას ჩამოვრჩი და რაღა მეშველება არ ვიცი!

ქალაქის პარკში საბჭოთა ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ორი მოხუცი, სამამულო ომის მონაწილენი ერთმანეთს შეხვდნენ და სასაუბროდ სკამზე ჩამოსხდნენ.

წამყვანი გვამცნობს: 22 ივნისს ჰიტლერმა ომი დაიწყო, ჰოდა, ომის მონაწილენი დღეს ძაღლი სტალინის სადღეგრძელოს დალევენ, ძაღლი მიაკვდა სულშია!

ასე იწყება სკეტჩი.

პარკში, მოხუცების შორიახლოს, ბავშვები ბურთს თამაშობენ და მათ ეს პათოლოგიურად აღიზიანებთ. ხელჯოხებით ემუქრებიან, ამოწყდითო, გადაშენდითო, ჩათლახებოო!

მათი ასაკის ადამიანებს, როგორც წესი, ბავშვები ძალიან უყვართ. სკეტჩის ავტორებს კი სურთ მაყურებელი დაარწმუნონ: სტალინის ჯარისკაცები ბოროტები, სასტიკები, აგრესიულები არიან ბავშვების მიმართ და წარმოიდგინეთ, როგორები იქნებიან ცხოვრებაში?

მოხუცების საუბრისას ირკვევა, რომ ესენი ლაჩრები, დეზერტირები, ტრაბახები, მატყუარები ყოფილან და რომ ჩინ-მედლები, მუნდირზე რომ უბნევიათ ყალბია, ვიღაცას ნაჩუქარი ან მოპარული!

ამრიგად სკეტჩის ავტორები მსოფლიოს მიერ აღიარებულ გენერალისიმუსს და მის მამაც ჯარისკაცებს დასცინიან, აბიაბრუებენ, აშაყირებენ!

დასცინიან ასიათასობით შინმოუსვლელ ღიმილის ბიჭებს, რომლებსაც საკუთარი სისხლის ფასად იხსნეს კაცობრიობა ფაშიზმისაგან!

დასცინიან დაღუპულთა ოჯახის წევრებს... დასცინიან ახალგაზრდა ქვრივებს, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ქმრების ერთგულნი დარჩნენ...

დასცინიან იმ ქართველ ვაჟკაცებს, რომლებიც ევროპის მრავალმა ქვეყანამ ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა!

დასცინიან გენიალურ **„ჯარისკაცის მამას“**...

დასცინიან პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველებს, რომლებსაც ვაჟა-ფშაველამ ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა:

ვცდილობთ, რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენი ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა.

ბატონებო, ტრისტან და ბესარიონ! არ შეგშვენით სხვათა დაკრულზე თამაში. მათ დაკრულზე თამაში, რომელთაც სულს უშფოთებთ სტალინის გამარჯვება ტროცკიზმზე და ფაშიზმზე, ებრძვიან ყველა ეროვნულ ქვეყანაში ყოველივე ეროვნულს ფარულად, ხუმრობის საფარქვეშ, სიცილ-ხარხარით... მაგალითად, **„კომედი არხის“** ერთი სკეტჩიც კმარა: ეროვნულ სამოსში, ჩოხაში გამოწყობილი აუცილებლად უნდა იყოს თვალებპარპალა დებილი, რომელიც ვითომ იცავს ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს... ასეთი დაცვა კი ჩამორჩენილობაა, სისულელეა! მათი შემყურე მაყურებელი ქვეცნობიერად გმობს ეროვნულობას და თანდათან ემზადება მამალ კოსმოპოლიტად გადასაქცევად!

პატივი ვცეთ ქართველთა მეომრულ სულს! ნუ გადავაქცევთ ქართველ ახალგაზრდებს საყურეებიან ტაკიმასხარებად, ზანგურად ყვაჯებისმქქველ მომღერლებად და ბრიუსელში გაქათმებულებად!

თენგიზ კუბლაშვილი

მცირე რეპლიკა, ანუ ნუ გავუნევთ დათვურ სამსახურს “ნანაშ ნინას”!

ფეისსივრცეში ამ ბოლო დროს შეიმჩნევა მეგრულ ენაზე გახმოვანებული ვიდეოპროდუქციის თუ მეგრულწარწერებიანი ე. წ. სტიკერების მოზღვავება... პირადად მე ამგვარი გარჯის წინააღმდეგი, რომ ნამდვილად არ ვარ – მრავალგზის დამიფიქსირებია. მეტიც, პრინციპულად და აუცილებლად მიმაჩნია გაქრობის პირას მისული მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების გადასარჩენად კომპლექსური პროგრამის ჩამოყალიბება. ბევრჯერ დამიფიქსირებია ის აზრიც, რომ ამ პროგრამაში უნდა ჩაიდოს ყველაფერი, რისი თანმიმდევრული გამხორციელებაც შეუქცევადად უზრუნველყოფს ზემოთჩამოთვლილი კოლხურ-იბერიული ენების სრულფასოვან ფუნქციონირებას. მაგრამ, აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია უხარისხო, უგემოვნო ვიდეო-აუდიო, ლიტერატურული თუ ნებისმიერი სახის პროდუქციის გამოტანა-ტირაჟირება საჯარო სივრცეში და ზოგადადაც! უნდა გვახსოვდეს, რომ მეგრული ენა (ლაზურიც და სვანურიც) არის უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი ენა, რომელიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ამჟამად გაქრობის პირასაა მისული! უნდა გვესმოდეს, რომ დამახინჯებული მეგრული ენით შექმნილი პროდუქციით ჩვენ დათვურ სამსახურს ვუწევთ „ნანაშ ნინას”! უნდა შევიგნოთ, რომ არ გვაქვს უფლება ჩვენი ეთნოსის მარადიულობის საზიანოდ მარგალოფობების წისქვილზე დავასხათ წყალი!..

ვიმედოვნებ ჩემი ეს რეპლიკა ადექვატურად იქნება აღქმული იმათ მიერ, ვისაც ეს ეხება!..

ზურაბ კვარაცხელია,
ზუგდიდი

ზაზა დავითაია წერილს ასაჯაროებს

“დღეს ჩვენ ვაცხადებთ „ნაციონალური მოძრაობის” განაჩენს. ჩვენ ვაცხადებთ განაჩენს იმ დამნაშავე გუნდის, რომელიც დაუნდობლად თხზავდა სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების მიმართ კრიმინალურ სცენარებს, იჭერდა ამ მოგონილი სცენარებით, ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, რომ ისინი იყვნენ ჯაშუშები, ტერორისტები, შეიარაღებული გადამტრიალებლები და ა.შ. სინამდვილეში ის, რასაც ეს რეჟიმი აბრალებდა უდანაშაულო ადამიანებს, ბუნებაში საერთოდ არ ყოფილა”, – ამის შესახებ ჟურნალისტმა ზაზა დავითაიამ „რეპორტიორის” პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა და კოალიცია „ანტისოროსის” წინააღმდეგ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულ დისკრედიტაციულ ქმედებებზე ისაუბრა.

“მოგახსენებთ, რომ მე ვარ ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური პატიმარი სააკაშვილის რეჟიმის, ჩემთან ერთად დააპატიმრეს 12 უდანაშაულო ადამიანი. ჩვენს საქმეს პირობითად ეწოდებოდა გიორგაძის მომხრეთა საქმე, რადგან ეს იყო კოალიცია “ანტისოროსი”. კოალიციაში შედიოდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია და ჩვენ ვამხელდით სააკაშვილის რეჟიმის ავანტიურისტულ ურთიერთობას რუსეთთან მიმართებაში. ჩვენ ვამბობდით, რომ ასეთ დამოკიდებულებას შესაძლოა მოჰყვეს გართულებები დიდ მეზობელთან და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გამოვრიცხავდით რუსეთის როლს, როგორც ოკუპანტის როლს საქართველოს წინაშე.

2006 წლის მაისიდან უკვე იწყება საქმის შეთითხვნა ჩვენს წინააღმდეგ და 2006 წლის 6 სექტემბერს განხორციელდა საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბის რეპრესია, ტყუილი. ცაში ტრიალებდნენ ვერტმფრენები, დაახლოებით ათასამდე გამომძიებელი და სხვადასხვა დონის პროკურორი მონაწილეობას იღებდა სპეცოპერაციაში, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დააკავეს “ანტისოროსის” ლიდერთა წარმომადგენელი 70 ადამიანი. მათ შორის 13 ადამიანს პრაქტიკულად მიესაჯა პატიმრობა, თუმცა, ერთი მათგანს – მაია ნიკოლეიშვილს პირობითი სასჯელი აკმარეს. დანარჩენ 12-ს, რომლებმაც არ ვაღიარეთ ჩვენთვის დაბრალებული გადატრიალება, მოგვისაჯეს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა. პირადად მე 4-ნახევარი წელიწადი სრულად მოვიხადე სააკაშვილის რეჟიმის ციხეში, იმ უპრეცედენტო პირობებში, რომელიც უკვე ყველა ჟურნალისტისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ცხადი იყო”, – განაცხადა ზაზა დავითაიამ.

ზაზა დავითაიამ გაასაჯაროვა კუდ-ის ყოფილი თანამშრომლის ზაურ ახალაიას განცხადება, სადაც იგი ჰყვება, თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა კოალიცია **“ანტისოროსის”** წევრებისთვის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დაბრალება ვანო მერაბიშვილისა და დათა ახალაიას მეთაურობით.

„საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს; სამართალწარმოების პროცესში ჩაღენილი დანაშაულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ ირაკლი ნადარეიშვილს, სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის

ზაურ ახალაიას

განცხადება:

გაცნობებთ, რომ 2005-2006 წლებში ვმუშაობდი შსს-ის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. აღნიშნულ სამმართველოს ეწოდებოდა ე.წ. პოლიტიკური სამმართველო. მის ფუნქციებში შედიოდა პოლიტიკურ-ოპოზიციურად განწყობილი პარტიების მიმართ ოპერატიული მუშაობა. კერძოდ, მათი დისკრედიტაცია, შანტაჟი, აგენტურის ჩანერგვა, უკანონო მოსმენები და ტექნიკური ღონისძიებების გატარება.

2006 წელს უშუალოდ ვიღებდი მონაწილეობას ოპოზიციური პოლიტიკური პარტია “სამართლიანობის” და მისი მხარდამჭერი სხვა პარტიების და პირების წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციაში. მონაწილეობა მაქვს მიღებული აღნიშნული ოპერაციის როგორც დაგეგმვაში, ისე განხორციელებაში. სწორედ ამ შეთითხნილი და გაყალბებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს: ზაზა დავითაია, მაია ნიკოლეიშვილი, მაია თოფურია, რამაზ სამნიძე, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, როგორც ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილე პირი, რომ ეს საქმე გახლდათ შეთითხნილი, პოლიტიკურად მოტივირებული და საქმეში ყველა მტკიცებულება გაყალბდა.

2006 წლის გაზაფხულის ბოლოს ქალაქ ბათუმში, უშიშროების შენობაში, რომელიც მდებარეობს გრიბოედოვის ქუჩაზე, ჩამოვიდა შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი და კუდ-ის დირექტორი დათა ახალაია. მათ თათბირი გამართეს შენობის ბოლო სართულზე, აჭარის უშიშროების მაშინდელი მინისტრის სოსო გოგიტიძის სამუშაო კაბინეტში, რომელიც მხოლოდ მაშინ იღებოდა, როდესაც ჩამოდიოდა ივანე მერაბიშვილი. აღნიშნულ თათბირს ვესწრებოდით აჭარის კუდ-ის ხელმძღვანელი პირები, კერძოდ: აჭარის კუდ-ის მთავარი სამმართველოს უფროსი თეიმურაზ პატარაიძე, მისი მოადგილე ალეკო ბალაძე, პირველი სამმართველოს უფროსი გიორგი იშხნელიძე, მეორე სამმართველოს უფროსი ვაჟა დიასამიძე და მე, ზაურ ახალაია, რომელიც ამ დროისთვის ვიყავი პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

აღნიშნულ თათბირზე ივანე მერაბიშვილისა და დათა ახალაიასგან მივიღეთ დავალება. კერძოდ: პოლიტიკურ გაერთიანება “ანტისოროსში” და მათ მომხრე პარტიებში არსებული ცნობილი პირების შეთითხნილი დაკავების და პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილების შესახებ. ივანე მერაბიშვილისგან და დათა ახალაიასგან მივიღეთ ბრძანება, აღნიშნულ პარტიებში ჩაგვენერგა და გაგვეწევრიანებინა პირები აგენტურული აპარატიდან, რომლებიც შემდგომში მისცემდნენ შეთითხნილ და ყალბ ჩვენებებს ზემოხსენებული პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ, რომ თითქოს ისინი აპირებდნენ შეიარაღებული გზით კონსტიტუციური წყობილების დამხობას”, – ნათქვამია განცხადებაში.

აქვე ზაურ ახალაია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გაერთიანება “ანტისოროსის” წინააღმდეგ არსებულ საქმეში მტკიცებულებად კოდორის ხეობიდან წამოღებული იარაღი „ჩაუდეს”, რომელიც სავარაუდოდ ემზარ კვიციანის ბატალიონს ეკუთვნოდა.

„რაც შეეხება 2006 წლის თათბირს ბათუმში, სადაც გადაწყდა ჩემს მიერ ზემოჩამოთვლილი, ამ საქმეში უდანაშაულო პირების განზრახ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი. ამ საქმეში მტკიცებულებების საქმით ჩადებული ცეცხლსასროლი იარაღი ჩვენი სამსახურის მიერ ჩამოტანილ იქნა კოდორის ხეობიდან და უნდა ეკუთვნოდეს ემზარ კვიციანის ბატალიონის წევრებს. ხსენებული ცეცხლსასროლი იარაღი ინახებოდა აჭარის კუდ-ის უფროსის თეიმურაზ პატარაიძის კაბინეტის უკან, მოსასვენებელ ოთახში. როდესაც ეს იარაღი მოჰქონდათ თბილისში, ჩასადებად, საკუთარი ხელით ჩავალაგე ორ „X5” მარკის ავტომობილში. ერთერთს მართავდა დათა ახალაიას პირადი მძღოლი”, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ დაგეგმილ და განხორციელებულ თავდასხმებზე.

“ამავე პერიოდში აღნიშნულ პოლიტიკურ ძალასა და მის მხარდამჭერებს ჰქონდათ პოლიტიკური აქტივობები. კერძოდ, იმართებოდა მიტინგები ქალაქ თბილისსა და ბათუმში, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ თათბირამდე ერთი წლით ადრე, სექტემბრის თვეში დამირეკა იმერეთის კუდ-ის უფროსმა კონსტანტინე არჩაიამ და მთხოვა მასთან სამუშაო კაბინეტში მისვლა (ამ დროს ზაურ ახალაია გახლდათ იმერეთის სოდ-ის თანამშრომელი). კონსტანტინე არჩაიამ მითხრა, რომ ვიყავი წასასვლელი აჭარაში თეიმურაზ პატარაიძესთან, სადაც უნდა შეთანხმებულიყო ჩემი იმერეთის სოდ-იდან აჭარის კუდ-ში გადასვლის დეტალები.

მისივე თქმით, მათ ჰქონდათ დავალება მიღებული დათა ახალაიასგან და მისი მოადგილისგან ვაჟა ლელუაშვილისგან, შეეჩერებინათ ნებისმიერი ხერხით, კერძოდ ყაჩაღობის ინსცენირებით ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერები და აქტივისტები. მათ განახორციელეს აღნიშნული ქმედება. კერძოდ, ერთ ღამეში კუდ-ის ჩემთვის ცნობილმა თანამშრომლებმა თბილისისკენ მომავალი ოპოზიციონერები დააყაჩაღეს აჭარა-გურიის საზღვარზე მდებარე ატრაქციონ “ციცინათელას” წინ. შემდეგ დააყაჩაღეს მიკროავტობუსი იმერეთში, კოპიტნარის ხიდთან. ასევე სოფელ ფარცხანაყანებში დააყაჩაღეს წითელი “იკარუსი”. თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე დააყაჩაღეს მიკროავტობუსი და ავტობუსი”, – ნათქვამია განცხადებაში.

ზაურ ახალაია წერილში აცხადებს, რომ ფლობს ზუსტ ინფორმაციას სხვადასხვა პირების დაყაჩაღებასა და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით. ზაზა დავითაიას თქმით, აღნიშნული განცხადების საფუძველზე მთავარ პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება და წერილის ავტორი, ზაურ ახალაია მზად არის, გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

ღორონთქ განათას დო ოჩხონუას ჩქენი ოდ-აბადეში ქვერსემი სქუა დო მაბირე-მაფშალია ზურაბ სოტკილავაში შური...

ჩვენი ხალხი უნიკალური სასიმღერო კულტურით რომაა გამორჩეული – ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამ სასიმღერო კულტურის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი მსოფლიო ტენორად აღიარებული დიდი ზურაბ სოტკილავაცაა. მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების საოპერო ხელოვნება უაღრესად მდიდარია გრანდებით და მათ შორის ამ დღეებში გარდაცვლილი ზურაბ სოტკილავაც უდაოდ რომ მოიაზრება – ესეც ცნობილია და რასაკვირველია ეს არის ჩვენთვისაც ნამდვილად საამაყოც...

არაფერს ვამბობ ახალს და ორიგინალურს, მაგრამ მაინც ვიტყვი რომ:

ზურაბ სოტკილავა თავისი განუმეორებელი ხმის ტემბრით აღაფრთოვანებდა ურიცხვ ადამიანს...

ზურაბ სოტკილავამ თავისი გრანდიოზული არტისტიზმით დაიპყრო მსოფლიოს უპრესტიჟულესი საოპერო სცენები...

ზურაბ სოტკილავამ სრულიად დამსახურებულად მოიხვეჭა მსოფლიო სახელი და დიდება...

ზურაბ სოტკილავამ კოლხურ-იბერიული მოდგმა, ჩვენი ჯიში და ჯილაგი ყველგან ასახელა...

და, აი, 80 წლის ასაკში აღსრულებულ ამ გენიალურ და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ ტენორს, რომელსაც ბედის უკუღმართობით არ ეღირსა მშობლიურ ოფუტე ოტობაიაში თუ ნოდა სოხუმში განსასვენებელი – ჩვენი სამშობლოს მთავარი ქალაქის მიწა გულში ჩაიხუტებს... ამბობენ, რომ ეს მისი უკანასკნელი სურვილი იყო... ამბობენ, რომ მას არ სურდა სხვისი მიწა დაჭყოდა გულზე...

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის თბილისის, ქართის მიწა...

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

ღორონთქ განათას დო ოჩხონუას ჩქენი ოდაბადეში ქვერსემი სქუა დო მაბირე-მაფშალია ზურაბ სოტკილავაში შური...

ზურაბ კვარაცხელია,
ზუგდიდი

სამძიმარი აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპული ახალგაზრდების აფხაზ და ქართველ მშობლებს!

„წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა...“
ხალხური

წინამდებარე წერილი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ **„ილორში“** 2011 წლის 18-25 ოქტომბრის ნომერში. მგონი ამ წერილს არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა, ვინაიდან ის მოუშუშებელი იარები მარად რჩებიან მოუშუშებლად!

14 აგვისტო 1992 წელი – 27 სექტემბერი 1993 წელი. ცრემლის, სისხლის და მოურჩენელი ტკივილების მთესველი დღეებია სრულიად საქართველოში. მას შემდეგ მატულობენ საქართველოში ძაძებით მოსიარულენი – შვილდაღუპული მშობლები, ობლები, ქვრივები. საუბედუროდ ჩვენდა, ამ უბედურებამ ფართოდ შემოაღო ჩემი ოჯახის კარები. წავიდნენ (ანდა სად მიდიოდნენ?) და ვედარ დაბრუნდნენ ჩემი ირაკლი და მამუკა... 21 წლის ირაკლის (1992 წლის ოქტომბერი) დარჩა 3 წლის და 5 თვის ტყუპი ქალ-ვაჟი. მამუკა უშვილძიროდ გადაეგო ამ ქვეყნიდან. დაიღუპა 28 წლის ასაკში (1993 წლის ივლისს).

სამძიმარს გითვლით ჩვენსავით გაუბედურებულო აფხაზო დედებო და მამებო. იქნება ჩვენმა შეცდენილმა შვილებმა ერთმანეთსაც კი ესროლეს, რაზეც ხელს ითბობდნენ და ითბობენ **„დიდი ძმები და მეგობრები“** დასავლეთში და ბევრი მათსავით გადაგვარებული უცხონი!

„წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა, იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა“.

მას შემდეგ წლები გავიდა... დავდივართ მოურჩენელი იარებით, ერთნაირად ჩაგვაცვეს ძაძები. იმ უბედურების დროს ბევრი შემთხვევა იყო იმისა, თუ როგორ გადაარჩინეს აფხაზებმა ქართველები და ქართველებმა აფხაზები – გარდაუვალ სიკვდილს! იყვნენ და არიან ამის თვითმხილველნი! მსმენია, თუ როგორ აპატიოსნებდით დაღუპული ქართველების ცხედრებს და მიწას აბარებდით. ამბობენ, რომ დღესაც არ აკლებთ მზრუნველობას მათ საფლავებს! ბევრს ცდილობენ მავანნი, ამოძირკვონ საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული ურთიერთობები, მაგრამ ვერაფერს დააკლებენ იმ შერეული ოჯახების არსებობას, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და დღესაც იქმნება!

რატომ? იყო კი ამ უბედურების საჭიროება? არა და არა!

ეს ყოველივე ხომ ვიღაცეების ბინძურ თავებში მომწიფებული უბინძურესი პოლიტიკის ნაყოფია! იმ პოლიტიკისა, რომელსაც საფუძველი ასეული წლების წინ ჩაეყარა! მიზანმიმართულად მიმდინარეობდა აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის, მტრობის და ურთიერთის მიმართ გაუცხოების თესვა! შედეგმაც არ დააყოვნა. მივიღეთ ის, რაც აფხაზებაზებისათვისაც და ქართველებისათვისაც მომაკვდინებელია! გადამთიელების მიერ ჩათესილ მტრობას ჩვენ, აფხაზებმაც და ქართველებმაც, დიდი მონდომებით შევუწყვეთ ხელი!

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა! მაგრამ იგი დაეცა მხოლოდ ქართველები-სათვის? თქვენ გამარჯვებას ზეიმობდით, ჩვენ დამარცხებას განვიცდიდით. მაგრამ აქ გამარჯვებული მხოლოდ **„მასონები“** და მათთან ერთად ბევრი უცხო ჯიში იყო! მათ ხომ სხვის უბედურებებზე ააგეს თავიანთი ბედნიერება! რა მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ ჩვენ გაუბედურებულმა მშობლებმა უნდა გავუზარდოთ და ვზრდით კიდევაც მათ შვილებს. ოღონდ ისე უნდა გავზარდოთ, რომ მათ ერთმანეთის მიმართ მტრობა არ ჩაიდონ გულში! რითაც ვალს ვიხდით მათი ხსოვნის წინაშე! 19 (ეხლა უკვე 26) წელია საქართველოში დათარეშობს სიკვდილის მსახვრალი ცელი! დღე არ გავა, არ გავიგო ინფორმაცია ვინმეს სიკვდილის შესახებ, რომელსაც თითქოს მშვიდად ვისმენთ. ვაი ამისთანა სიშვიდეს! დუმილით შევხვდით ს. გირგვლიანის, ბ. რობაქიძის, ზ. ვაზაგაშვილის, გ შარაძის და ვინ იცის კიდევ რომელი ერთის მკვლელობას! უფალო მუხლმოდრეკილი გევედრებით, შეგვინდე და გვაკმარე ეს სისხლი და ცრემლი!

დროა საქართველოში დაისადგუროს მშვიდობამ და სიხარულმა!

დროა საქართველო დაადგეს მშვიდობიანი აღმშენებლობის გზას! იმ გზას, რომელიც უნდა გავიყვანოთ ქართველებმა და ყველა იმან, ვისაც საქართველო უყვარს! უყვარს არა სათავისოდ, არამედ საზოგადოდ!

მშვიდობა თქვენდა ქართველო მშობლებო, შვილდაღუპულო აფხაზო დედებო და მამებო!

ამა წლის 27 აგვისტოს, ეს უბედური ქვეყანა დატოვა და მარადისობაში დაიმკვიდრა სასუფეველი ორი შვილის, ირაკლი და მამუკა დანელიების დამტირებელმა დედამ, ჩემმა მეუღლემ, ლუარა დანელიამ!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ტანჯული სული! ამინ!

ანზორი დანელია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

უცხოეთში მყოფი ფეხბურთელები, რომლებსაც საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი აქვთ

მას შემდეგ, რაც გიორგი ჯიქიამ ასპარეზად რუსეთის ნაკრები აირჩია, აკაკი გოგია კი ძალიან დიდი წარმატებით თამაშობს გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში და უკრაინაში თემურ ფარცვანია ერთობ სტაბილურია, გვიჩნდება შიშნარევი სიფრთხილე – ემანდ, ეს ორი, ძალიან კარგი ფეხბურთელიც არ დაიკარგოს საქართველოს ნაკრებისთვის...

ქართველი გულშემატკივრებისთვის ვერაფრით იქნება სულერთი იმ ფეხბურთელების ბედი, საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი რომ აქვთ. მაგალითად, ავიღოთ იგივე ფარცვანია – 25 წლის ქართველი მცველი, რომელიც ამჟამად დონეცკის "ოლიმპიკის" ღირსებას იცავს.

მოგეხსენებათ, ის კიევის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. უთამაშია უკრაინის ყველა ასაკობრივ ნაკრებში, იყო ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი, ახლა კი საქართველოს ნაკრებში თამაში სურს... უნივერსალი ცენტრალური მცველი, ფიზიკურად ძლიერი და თან პოზიციის კარგი გრძნობით, ვფიქრობთ, სასარგებლო ფეხბურთელი უნდა გახდეს საქართველოს ნაკრებისთვის.

ერთიცაა – ქვეყნის უპირველესი გუნდი დღეს იმ მდგომარეობაშია, როცა ნამდვილად არ ჰყავს დასაკარგი ფეხბურთელი...

რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ ყველა ეს ფეხბურთელი საქართველოს სამსახურში იდგეს. ეს, დიდი ალბათობით, ვეღარ გამოვა გიორგი ჯიქიასთან დაკავშირებით, მაგრამ სამაგიეროდ, არის შანსი, რომ ფარცვანია და შესანიშნავ ფორმაში მყოფი აკაკი გოგია არ დაიკარგონ საქართველოს ნაკრებისთვის.

რაც შეეხება გოგიას, მასზე საუბარი საერთოდ ზედმეტია. მეორე ბუნდესლიგაში საუკეთესოები შემთხვევით არ ხდებიან და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებში მისი გამოჩენა ჩვენი ეროვნული გუნდისთვის დიდი პლუსი იქნება.

წეღან ჯიქია ვახსენეთ. ვიცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ძალიან ბევრს ეცადა, მაგრამ ფეხბურთელმა სანაკრებო ასპარეზად რუსეთი აირჩია. ეს მისი არჩევანია და პიროვნება ყოველთვის თავისუფალია საკუთარ არჩევანში, ჩვენ კი მის ნაბიჯს პატივი უნდა ვცეთ.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, როგორმე სხვებიც არ დაგვირჩნენ განზე – ბიჭები, რომელთაც ჯერ არ აქვთ ქართული პასპორტი. ეს იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებს მეტი რესურსი ჰქონდეს...

ბოლო დროს აკაკი გოგია შესანიშნავ ფორმაშია. "კიკერმა" ის მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ეჭვგარეშეა, მას შეუძლია, დიდი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს ნაკრებს.

გოგიას არ აქვს გერმანიის ნაკრებში მოხვედრის შანსი და რატომ უნდა უარყოს სანაკრებო პერსპექტივა, რატომ უნდა იუაროს საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში? ახლა უნდა გამოაჩინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფხა და მარიფათი...

ქვემოთ წამოგიდგენთ უცხოეთში მყოფ ფეხბურთელებს, რომელთაც საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი აქვთ:

აკაკი გოგია, 25 წლის

მისი პირველი კლუბი იყო "ჰალე", საიდანაც "ვოლფსბურგში" გადავიდა. ითამაშა ამ გუნდის დუბლშემადგენლობაში და იყო ძირითადი გუნდის განაცხადში. გერმანიაში ითამაშა სხვა ცნობილ კლუბებშიც – "აუგსბურგში", "ზანტკ პაულისა" და "ჰალეშერში".

ამას მოჰყვა გადაბარგება ინგლისური ჩემპიონშიფის ბინადარ "ბრენტფორდში", სადაც გოგიამ ვერ გამოავლინა საუკეთესო თვისებები.

სამაგიეროდ, ბოლომდე გაამართლა ქართველი ფეხბურთელის არენდამ მეორე ბუნდესლიგის ბინადარ დრეზდენის "დინამოში". აქ გოგია მოკლე ხანში ჩამოყალიბდა ლიდერად. საინტერესოა, რომ კონტრაქტით ის ჯერაც ინგლისური კლუბის საკუთრებაა.

თემურ ფარცვანია, 25 წლის

დონეცკის "ოლიმპიკის" უნივერსალი მცველი, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც დაცვის ფლანგზე, ისე – ცენტრში. უთამაშია უკრაინის ყველა ასაკობრივ ნაკრებში. არის 19-წლამდელთა შორის ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული.

სხვადასხვა დროს, კიევის "დინამოს" გარდა, დაუცავს ზაპოროჟიეს "მეტალურგისა" და ლუცკის "ვოლინის" ღირსება. მზადაა, აიღოს ქართული პასპორტი. ბოლო დროს ტრავმამ შეაფერხა.

ზაურ მახარაძე, 24 წლის

დონეცკის "ოლიმპიკის" ქართველი მეკარე. იყო უკრაინის ყველა ასაკობრივი ნაკრების წევრი, მათ შორის, ითამაშა ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში (5 მატჩი). ამის მიუხედავად, ის არ მიუწვევიათ უკრაინის ეროვნულ გუნდში.

ამ დროისათვის, საქართველოს ნაკრებში მწვავედ არ დგას მეკარის საკითხი, მაგრამ მახარაძით დაინტერესება ნამდვილად ღირს, მით უმეტეს, ჩვენი უპირველესი გუნდის ორივე ძირითადი მეკარის ასაკს "ახალგაზრდული" აღარ ეთქმის.

ლეო გოგლიჩიძე, 20 წლის

ქართველი მცველი, რომელიც "კრასნოდარის" დუბლშემადგენლობის ერთ-ერთი ლიდერია და ეტაპობრივად დიდი გუნდის განაცხადშიც ხვდება. მიიწვიეს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, სადაც უკვე ჩაატარა 1 მატჩი.

გიორგი წიტაიშვილი, 16 წლის

უკრაინის ჭაბუკთა ნაკრების ლიდერი. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მას უკვე შესთავაზა ასაკობრივ ნაკრებში თამაში, მაგრამ ამ ეტაპზე წიტაიშვილმა წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა. ჩვენ ცდა და მონდომება არ უნდა დავაკლოთ – ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი საქართველოს ნაკრებშიც არ ითამაშებს.

გიორგი მელქაძე, 20 წლის

მოსკოვის "სპარტაკის" იმედი. ჩვენს სიაში მაინც პირობითადაა, რადგან უკვე განაცხადა, რომ რუსეთი აირჩია სანაკრებო ასპარეზად. ეროვნულის გარდა, რუსეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები.

ქართულ-მეგრული ლექსიკონი

გავლება-გოსუმალა
გავრცელება- გოხაფ.(ძვ.) გოყაფ, გაბრჩელება
გავრცელებული–გოხაფირ(ძვ.), გოყაფირ, გაბრჩელებურ
გავსება-გოფშაფა, გოპეტუა
გავსებული- გოფ
შაფირ, გოპეტირ
გაზაფხული-აფუნ, აფუნონ
გაზვიადება-გაპანჯება,პარანუა
გაზვიადებული-გაპანჯებურ, პარანერ
გაზი-გაზ, მარწუხეფ (ხელსაწყო)
გაზი-აერ, გაზ, აირ
გაზიარება-გაშელონ (ძვ), გაშელება, გაზიარება
გაზიარებული-გაშელონირ (ძვ.), გაშელებურ, გაზიარებულ
გაზიდულობა-გონშა(ძვ). გონჭა
გაზინთვა-გოშემშუა, ბზინგუა, გეზალიქუა
გაზინთული-გოშემშირ, მზინგირ, გეზალიქერ
გაზულქება-გახუზება
გაზულქებული-გახუზებურ, გახუზებურიხე(მდ.)
გათავება-ლიება, გათება
გათავებული-ლიებურ, გათებულ
გათანაბრებული-თონორილ, ნორილ
გათანაბრება-თონორუა
გათელვა-ჯალაგუა, გოთელუა
გათელილი-ჯალაგირ, გოთელირ
გათენება-გოთანა, ელადგინა
გათენებული-გოთანირ, ელადგინერ
გათვალვა-გოთოლუა
გათვალული-გოთოლირ
გათვალისწინება-გოთოლწონუა
გათვალისწინებული-გოთოლწონირ
გათვლა-გოკოროცხუა

გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:
ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000
ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში
მფო: 220101480
მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,
ტელ. 571 22 66 34

პატრიარქის წინააღმდეგ გადაცემების მომზადებას გვავალებდნენ...

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ წლების წინ გიგა ბოკერიამ ის და სხვა ჟურნალისტები დაიბარა და პატრიარქის წინააღმდეგ გადაცემების მომზადება მოსთხოვა.

„მე ვიყავი პირველ არხზე ჟურნალისტი, რომელიც დაიბარეს თათბირზე და პირდაპირ ჟურნალისტებს გვავალებდნენ პატრიარქის წინააღმდეგ გადაცემები მოგვემზადებინა. წამყვანი გამოცემების წამყვანი ხელმძღვანელები ვიყავით. ჩვენ არ შევასრულეთ ეს დავალება და გავასაჯაროვეთ, მაგრამ ეკლესიის დისკრედიტაციის პროცესს ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და ციანიდის საქმეც ამის კომპონენტია. როდესაც ბოროტების მარცვალს აგდებ, ის რომ გაღვივდეს დრო სჭირდება და ნაციონალურმა მოძრაობა იმდენი ბოროტების მარცვალი ჩააგდეს, რომ ამის შედეგს ვიმკით დღესაც", – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

იუმორი

გოგო ეკითხება ბიჭს:
– ჩემს ქორწილში ხომ იქნები?
– კი, ვიქნები, – პასუხობს ბიჭი.
გოგომ კი თავისთვის ჩაილაპარაკა:
– სიძის საკითხიც მოგვარებულია...

* * *

რუსი და გერმანელი დავობენ, ვინ უფრო დიდი პიროვნება იყო – ჰიტლერი თუ სტალინი.
– რა თქმა უნდა, ჰიტლერი უფრო დიდი პიროვნება იყო! – ამბობს გერმანელი, – მისი ერთ-ერთი ნახატი, ახლახან, სოტბის აუქციონზე 62 ათას ევროდ გაიყიდა.
– ეგ რა არის, – ირონიულად ჩაიცინა რუსმა, – სტალინის ყველაზე დიდი ქმნილება – საბჭოთა კავშირი გორბაჩოვმა, ელცინმა, შევარდნაძემ და იაკოვლევმა 50 მილიარდ დოლარად გაყიდეს და ვაჭრობა ამჟამადაც გაუთავებლად გრძელდება...

* * *

– შენ ის არა ხარ ყველას რომ ვიღაცაში ეშლები?
– არა, ძმაო, გეშლები.

სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge